MES 5 22 0000015028

12/01/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 22.12.2021
სხდომის დაწყების დრო: 15:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 23:13სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათიაზედგინიძე-ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: მარიამშენგელია;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათიაზედგინიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **გაიანე სიმონია -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
5. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
6. **ელიზბარ ელიზბარაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
7. **გიორგი ღაღანიძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
8. **დავით კაპანაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;

9. **დიანა მჭედლიშვილი** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
10. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
11. **თამარჩ ხეიძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახუსსრის უფროსი;
12. **მაკაკ აჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
13. **ნინო ინასარიძე** - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი.

სხდომაზე დამსწრე პირები
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	თამარ აფრასიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
2	თამთა ანთიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
რამაზ კუკულაძე	შპს ალტე უნივერსიტეტი	პრეზიდენტი	I
ნათია ვაჭარაძე		ხარისხის მართისა და შესაბამისობის დეპარტამენტის დირექტორი	I
ქეთევან ცხადაძე		ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი	I
ნატო ონიანი		პროგრამის ხელმძღვანელი	I
ლევან გახელაძე		პროგრამის თანახელმძღვანელი	I
ვლადიმერ მკერვალიშვილი		პროგრამის თანახელმძღვანელი	I
საფფეთ ბაირაქთუთანი	შპს შავი ზღვის საერთაშორისო	რექტორი	II-III
ნინო ჯოჯუა		ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით	II-III
თეა კბილცეცხლაშვილი		ვიცე-რექტორი სასწავლო და სამეცნიერო დარგში	II-III
ილია ბოცვაძე		ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულეტეის დეკანი	II-III
აზერ დილანჩიევ			II-III

	უნივერსიტეტი	ეკონომიკის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელი	
ვახტანგ ჩალაფეიქრიშვილი		აკადემიური პერსონალი	II-III
ლაშა ქავთარაძე		აკადემიური პერსონალი	II-III
ანანო სამსონაძე	სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი (მ/შ)	IV-V-VI
თამარ ვეფხვაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კონსულტანტი ავტორიზაცია-აკრედიტაციის საკითხებში	IV-V-VI
ნატო გენგიური		სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV-V-VI
ზვიად დოლიძე		სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დეკანი	IV-V-VI
გიორგი ჩართოლანი		პროგრამის ხელმძღვანელი	IV-V-VI
რევაზ ჭიჭინაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	IV-V-VI
ნანა დოლიძე		პროგრამის ხელმძღვანელი	IV-V-VI
ლაურა კუტუბიძე		ასოცირებული პროფესორი	IV-V-VI

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ	საკითხი
1	ანა ქეშელაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ზაზა ცოტნიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	მიხეილ ბიჭია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	გიორგი გვენეტაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ხათუნა კაჭარავა	(ჩაერთო „ზუმით“)	IV-V-VI
6	სოფიო კილასონია	(ჩაერთო „ზუმით“)	IV-V-VI
7	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV-V-VI
8	მალხაზ გაგუა	(ჩაერთო „ზუმით“)	IV-V-VI
9	თათია უბერი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV-V_VI
10	მანანა ლობჟანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II-III
11	მაია ბარამიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II-III
12	ბექა მარუაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II-III
13	ია ნაცვლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II-III
14	ნინო ტალიკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II-III

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:**00** საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს ალტე უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „მასობრივი კომუნიკაციის (მულტიმედიური და კულტურის ჟურნალისტიკა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "არტჟურნალისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "კულტურა მედიაში" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს ალტე უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „მასობრივი კომუნიკაციის (მულტიმედიური და კულტურის ჟურნალისტიკა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

5. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "არტჟურნალისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "კულტურა მედიაში" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: შპს ალტე უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ჟურნალისტიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 13 დეკემბრის N812 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ჟურნალისტიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჟურნალისტიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	უნივერსიტეტის ქ N2, ქ. თბილისი; 0177, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ანა ქეშელაშვილმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტში აკრედიტაციის ვიზიტი ჩატარდა წინასწარ განსაზღვრულ ვადებში 15 და 18 ოქტომბერს შემოწმების ჰიბრიდული ფორმატით (მატერიალური რესურსების ადგილზე დათვალიერება, ონლაინ - ინტერვიუები). ვიზიტამდე შედგა ექსპერტთა ჯგუფის წინამოსამზადებელი შეხვედრა, სადაც განისაზღვრა ძირითადი საკითხები და შეკითხვები, როლებიც ინტერვიუების დროს იქნა გამოყენებული.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში წარმოდგენილი იყოს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მესამე ელემენტი „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.“
2. რეკომენდებულია, რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსში აისახოს სავალდებულო ლიტერატურის რეალისტური რაოდენობა, კერძოდ, შემცირდეს და გადანაწილდეს დამხმარე ლიტერატურაში, ხოლო სილაბუსებით გათვალისწინებულ სალექციო თემებს განესაზღვროს სავალდებულო ლიტერატურა კონკრეტული გვერდების (სულ მცირე სავალდებულო ლიტერატურის მოცულობის) მითითებით.
3. რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს ადმინისტრაციასა და სტუდენტებს შორის კომუნიკაცია, რომ სტუდენტებს არ ჰქონდეთ განცდა, რომ არ არიან სათანადოდ ინფორმირებული უსდ-ს მიერ შეთავაზებული სერვისების, შესაძლებლობების მათ შორის, პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესში ჩართვის, შესახებ.
4. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უფრო მეტად იზრუნოს პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო პროდუქტიულობის ამაღლება-შენარჩუნებასა და აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე.
5. რეკომენდებულია, პროგრამის ნაკლოვანი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება შესაძლებელი იყოს, ასევე, შესაბამისი სტანდარტის მსჯელობიდან გამომდინარეობდეს და თვითშეფასება მოიცავდეს სრულყოფილ ინფორმაციას.
6. რეკომენდებულია, უზრუნველყოფილ იქნეს სტუდენტთა მხრიდან სასწავლო პროცესის შეფასების დროს ხარისხის შეფასების ფორმების მკვეთრად გამიჯვნა, სასწავლო პროცესის კომპონენტების დაცვა-შეფასებაზე სათანადო მონიტორინგი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, რამაზ კუკულაძემ ისაუბრა უნივერსიტეტის მხრიდან, პროფესორ-მასწავლებელების პროდუქტიულობის გაზრდასა და აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ეს იყო მუდმივი პროცესი და დაწესებულება იზიარებდა ამ რეკომენდაციას. აღნიშნულთან დაკავშირებით დაგეგმილი იყო კონფერენცია „კოვიდი მედიაში“, ფინალურ სტადიაში იყო მემორანდუმი ჩნეთის

კომუნიკაციის ინსტიტუტთან, რომელიც ეხებოდა თანამშრომლობას პროფესორ-მასწავლებლების გაცვლის, ასევე ერთობლივი კონფერენციების ჩატარების ჭრილში და პირველი ეტაპზე იგეგმებოდა დისკუსია მრგვალი მაგიდის ფორმატში, სადაც საუბარი იქნებოდა დღევადნელ გამოწვევებთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა სიახლესთან დაკავშირებით, რომლის შედეგადაც უნვიერსიტეტმა დააფუძნა ალტე უნივერსიტეტის საქველმოქმედო ფონდი, რომლის ძირითადი ამოცანაც იქნებოდა სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელთა კვლევების დაფინანსება. ფონდს ჰქონდა განსაზღვრული პოლიტიკა და მიუხედავად იმისა, რომ 100%-ით უნივერსიტეტის მიერ დაფუძნებული იყო, იმართებოდა აბსოლიტურად დამოუკიდებლად. მიმდინარე დროისათვის უკვე არსებობდა შეპირებული თანხები, დაახლოებით 200 000 ლარი, რომელიც პირველივე მოთხოვნის შემთხვევაში ჩაირიცხებოდა. ასევე განსაზღვრული იყო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც, ყოველწლიურად შემოსული თანხების 70% დაიხარჯებოდა მიმდინარე წელს და 30% მიმართული იქნებოდა პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო პროდუქტიულობის ამაღლებასა და აკადემიური პერსონალის განვითარებაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გასაგები იყო, ეთანხმებოდნენ წაროდგენილ რეკომენდაციას, ეს მათთვის იყო მუდმივი პროცესი და სულ შეეცდებოდნენ, რომ გაეკეთებინათ დივერსიფიკაცია და ამ მიმართლებით გაეღრმავებინათ მუშაობა.

დაწესებულების წარმომადგენენლმა, ნატო ონიანმა აღნიშნა, რომ პროგრამაზე მუშაობა დაიწყეს 2018 წლიდან, მანამ სანამ აკრედიტაცია მოუწევდათ, რადგან სურდათ პროგრამაში გარკვეული ცვლილებების შეტანა. მისი თქმით, პროგრამის მთავარი მიზანი იყო რეპორტიორის მომზადება, რომელიც ყველაზე მეტად სჭირდებოდა ქართულ ბაზარს, რომელსაც ექნებოდა ანალიტიკური უნარები და ძირითად ამოცანად დაისახეს პრაქტიკული ელემენტის გაძლიერება პროგრამაში. მასში მოცემული იყო თეორიული ხასიათის საგნები, რომლებაც პრაქტიკული შემადგენელი ნაწილები ჰქონდათ. პრორგამას ჰქონდა ასევე პრაქტიკა, ჩაშენებული პრაქტიკის ელემენტი რამდენიმე საგანში. პედაგოგებად მოწვეული ყავდათ ის ადამიანები, რომლებსაც, როგორც ჟურნალისტებს, ჰქონდათ პრაქტიკული გამოცდილება, წარსულში ან ახლა იყვნენ პრაქტიკოსი ჟურნალისტები და თავად იყვნენ პროგრამის სტუდენტთა დამსაქმებლები, რისი პრეცენდენტებიც არსებობდა. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტებისგან წამოსული რეკომენდაციებიდან ბევრი რამ იყო გასათვალისწინებელი მათთვის და მზად იყვნენ ისინი შეესრულებინათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ქეთინო ცხადაძემ ისაუბრა მე-3 სტანდარტთან დაკავშირებით, რომელიც ინფორმაციისა და კომუნიკაციის ნაკლებობას ეხებოდა და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში იყო რამდნეიმე არხი, თუ რა ფორმით ხდებოდა ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის: 1. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა „ემისი“, სადაც სტუდენტებს აწვდინენ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ და მიმდინარე აქტივობებთან დაკავშირებულ ყველა საწირო ინფორმაციას. 2. ვებ-გვერდი, სადაც მიმდინარე, მოსალოდნენ ღონისძებებთან და სტუდენტებისათვის საინტერესო აქტივობებთან დაკავშირებულ ინფორმაციას აწვდიდნენ. 3. კოვიდ რეგულაციებიდან გამომდინარე, Facebook“-სა და ელ.ფოსტის დახურული ჯგუფები, სადაც ნებისმიერი საკომუნიკაციო სიახლის მიწოდება ხდებოდა. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული „სტუდენტთა წარმატების სამსახურის“ შესახებ, რომლის მთავარი ფუნქცია იყო სტუდენტთა დახმარება პროფესიული ორიენტაციისა და თვითგამორკვევის საკითხში, ზრუნვა მათი ცხოვრების ჩამოყალიბებაზე და სტუდენტებთან ერთად, კურიკულუმს გარეთ, მათთვის საინტერესო აქტივობების დაგეგმვა. დაწესებულების წარმომადგენლის აზრით, ეს იყო უნივერსიტეტის საკმაოდ ძლიერი მხარე იყო კომუკაციის კუთხით და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი არგუმენდატიიდან გამომინარე, დაწესებულება არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფის მოცემულ რეკომენდაციას და ითხოვა, რომ საბჭოს გაეთვალისწინებინა აღნიშნული სააკითხი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნათია ვაჭარაძემ ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ის ორიენტირებული იყო უნივერსიტეტში არსებული გამოკითხვის ფორმების გამიჯვნაზე, ლექტორის შეფასების ფორმასთან დაკავშირებით, სადაც სილაბუსის შეფასების იმპლიმენტირებული მოდელი ჰქონდა დაწესებულებას წარმოდგენილი და ასევე, გარე შეფასების ფორმაზე, რომელშიც უცხოელი ექსპერტის მიერ შეფასებულ პროგრამაში უფრო მეტად დადებითი ასპექტები იქნა წინა პლანზე წამოწეული, ხოლო გამოწვევების შესახებ ნაკლებად იყო საუბარი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი მიერ წარმოდგენილ შუალედურ დასკვნაზე, არგუმენტირებულ პოზიციაში, დაწესებულების პოზიცია დააფიქსირეს, თუმცა რამდენიმე ასპექტზე გაამახვილებდა ყურადღებას. მან განმარტა, რომ ხარისხის შეფასება უნივერსიტეტში და ხარისხის კულტურის დამკვიდრება არანაირად არ ემსახურებოდა მხოლოდდამხოლოდ გარე შეფასების დაკმაყოფილების მოთხოვნებს. ზოგადად თვლიდნენ, რომ ეს მათივე ინსტიტუციის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი მონაპოვარი იყო და აქედან გამომდინარე, წლები იყო, რაც გარე შეფასება კოლეგიალური შეფასების ფორმით ჰქონდათ დანერგილი და ეს არ იყო ერთჯერადი ქმედება, რომ გადაეგზავნათ პროგრამა და მიეღოთ უკუკავშირი. გარდა ამისა, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვერ დაეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფს პროგამის სწავლის შედეგენის ანალიზის საკითხთან დაკავშირებით. მისი განმარტებით დაწესებულებას საკმარისად ჰქონდა განხილული პროგრამის ანალიზი, სვოტი, შედარება, პროგრამის გამოწვევები და სუსტი მხარეები. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულება თანამშრომლობდა საკმაოდ რეპუტაციულ დაწესებულებასთან, რომელსაც დაუკვეთეს ბაზრის კვლევა და მათ თანამშრომლობა მოიცავდა არა მხოლოდ რეაკრედიტაციის პროცესში არსებული პროგრამების შემთხვევებს, არამედ სხვა პროგრამებსაც, რომელთაც ჯერ კიდევ ჰქონდათ რეაკრედიტაციის 4 წლიანი ვადა. ამით დაწესებულების წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ მათ მიზანი იყო პროგრამის განვითარება და არა მხოლოდ აკრედიტაციის პროცესის წარმატებით გავლა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიმართ წარდგენილი იქნა სვოტ ანალიზი, რომელშიც საკმაოდ ფართო აუდიტორია მონაწილეობდა. მასშიც იდენტიფიცირებული ჰქონდათ პრობლემები და თვლიდნენ, რომ სწორედ ის იყო ამოსავალი წერტილი, რომ სცოდნოდათ, თუ რა გამოწვევები შესაძლოა ჰქონოდა პროგრამას. მისი თქმით, როდესაც პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა სწორედ მათ დამოკიდებულებაზე სწავლის შედეგის მესამე კომპონენტის პროგრამაში არ გამოკვეთასთან დაკავშირებით, იყო სწორედ იმის გამოძახილი, რომ ტესტირების რეჟიმში ყოფილიყვნენ, ერთი წლის შემდეგ რამდენად იმუშავებდა და ექნებოდათ ვალიდური შეფასების მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა პროგრამის გამოწვევებთან დაკავშირებით სტანდარტების ნაწილში და აღნიშნა, რომ მათ ჰქონდათ მათი დაძლევის გზები, შედარებითი ანალიზი იყო საკმაოდ მოცულობითი და შინაარსობრივი იყო, დაწესებულებაში არსებობული გამოკითხვები მნიშვნელოვანი იყო შემდგომში პრაქტიკაში გამოყენების კუთხით, როდესაც არსებობდა ძირითადი მიგნებები, თუ რა გამოიყენეს პროგრამის განვითარებისათვის და დაკმაყოფილდა თუ არა დაინტერესებული მხარეების მოთხოვნა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ ნაწილში ექსპერტთა პოზიცია პოზიტიტიური იყო, სტანდარტის კომპონენტების შეფასების ნაწილში, რაც სტანდარტის ძირითადი დამაკმაყოფილებელი იყო, ასევე პოზიციური მსჯელობა ჰქონდა ექპერტთა ჯგუფს. ერთი კონკრეტული კითხვარის გამიჯვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლებსაც ჰქონდათ ნაფიქრი და პარტნიორ ორგანიზაციასთან დაწყებული აქვთ მოლაპარაკება კითხვარების მოდიფიცირების საკითხთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არ არსებობდა სტანდარტის სრულად შესაბამისობის სტანდარტი, მით უმეტეს, რომ ექსპერტთა ჯგუფი, აღნიშნულ რეკომენდაციებს უთითებდა ასევე რჩევებში და დაწესებულების წარმომადგენლები თვლიდნენ, რომ ისინი თვისობრივად იყო სწორედ რჩევები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნატო ონიანმა დაამატა და აღნიშნა, რომ გაითვალისწინეს თურქი პროფესორის რჩევა, რომელიც შეეხებოდა დარგობრივი ჟურნალისტიკის მაქსიმალურად შემოტანასა და განვითარებას, რომელიც უკვე ჩასვეს პროგრამაში. რაც შეეხებოდა ქალბატონი ლაურა კუტუბიძისა და ირა ბიგველიას მოთხოვნებს, რომელიც შეეხებოდა პრაქტიკას, დაწესებულებას არ ჰქონდა გარე პრაქტიკის კომპონენტი, რაც გაითვალისწინეს და ჩაამატეს პროგრამაში. რაც შეეხებოდა ავტონომიურობასა და პასუხისმგებლობას, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთებს ყველაზე მთავარ თემად ჰქონდათ ეს საკითხი გამოტანილი, რომელზეც თავად დაწესებულების წარმომადგენლებიც ფიქრობდნენ, თუ რა ფორმით გაეკეთებინათ და სურდათ, რომ ორი წლის განმავლობაში მაინც გამოეცადათ პროგრამა, რადგან გარკვეული საგნები იძლეოდა შედეგის შემოწმების შესაძლებლობას და დაწესებულების წარმომადგენლები მზად იყვნენ და შეეძლოთ გაეთვალისწინებინათ და შეესრულებინათ აღნიშნული რეკომენდაცია. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა სახელმძღვანელოებთან დაკავშირებულ საკითხზე და აღნიშნა, რომ მათ სტუდენტებს ყველაზე მეტად მოსწონდათ რიდერები, თუმცა დაწესებულების წარმომადგენელთა სურვილი იყო, რომ სახელმძღვანელოზე მუშაობას მიჩვეოდნენ სტუდენტები და რაც შეიძლება მრავალფეროვან ლიტერატურასთან ჰქონოდათ შეხება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ქეთინო ცხადაძემ დაამატა და აღნიშნა, რომ ჟურნალისტიკის პროგრამის ძლიერი მხარე იყო მედია ლაბორატორიის არსებობა უნივერისტეტი ბაზაზე, სადაც ჩაშენებული პრაქტიკის კომპონენტი ხორციელდებოდა სწორედ უნივერისტეტის ბაზის საფუძველზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნატო ონიანმა დაამატა და აღნიშნა, რომ ჩაშენებული პრაქტიკის კომპონენტის ერთ-ერთი მაგალითი იყო ასევე ის, რომ მათი დაწესებულების პედაგოგი იყო რუსთავი 2-ის მთავარი საინფორმაციო გამოშვების ხელმძღვანელი, რომელიც საშუალებას აძლებდა სტუდენტებს დასწრებოდნენ სამუშაო პროცესებს. სტუდენტებს ასევე შესაძლებლობა ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ საინფორმაციო სააგენტოს მუშაობაში, რომლის ხელმძღვანელიც დაწესებულების პედაგოგი იყო და პროგრამის სამი სტუდენტი უკვე მუშაობდა აღნიშნულ სააგენტოში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაღანიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა იყო ძალიან საინტერესო, გააჩნდა თანამედროვე ელემენტები და პასუხობდა თანამედროვეობის გამოწვევებს. მან ისაუბრა რჩევებთან დაკავშირებით, კერძოდ უმაღლესი სასწავლო დაწესებულების მხრიდან ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების გადახედვის და პრაქტიკული მეცადინეობების ფიზიკურად ჩატარების შესაძლებლობის განხილვის შესახებ. საბჭოს წევრის მოსაზრებით, შეუძლებელი იყო გადაღების, განათების დაყენებისა და ძალიან ბევრი სხვა საკითხის დისტანციურად სწავლება და რას ფიქრობდნენ დაწესებულების წარმომადგენლები, როგორ დაძლიეს მათ აღნიშნული გამოწვევები და რას ფიქრობდნენ მომავალში მასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ მე-5 სტანდარტთან დაკავშირებით, რომელიც დაკავშირებული იყო ხარისხთან, შეკითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, შესრულებული იყო თუ არა ყველა რეკომენდაცია, რომელიც წინა აკრედიტაციის პროცესის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა? თუ არ იყო შესრულებული, მაშინ რეკომენდაცია ამასთან დაკავშირებით 5.2 ქვესტანდარტში რა თქმა უნდა უნდა გაჩენილიყო. საბჭოს წევრმა შეკითხვით მიმართა ასევე დაწესებულების წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ პროგრამაშ ძალიან კარგად ჰქონდათ აღწერილი ბენჩმარკინგის პროცესი, მითითებული იყო ბევრი ანალოგი. დოკუმენტში მითითებული ლინკები მითითბული იყო თვითნებურად, თუ დაწესებულებას გააჩნდა მემორანდუმები რომელიმე უნივერსიტეტთან, რომელთანაც ითანამშრომლეს და საუკეთესო პრაქტიკა გაიზიარეს?

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა ისაუბრა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც სწავლის შედეგებს შეეხებოდა და აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, არ იყო დარგის სპეციალისტი, თვლიდა, რომ ჟურნალისტიკისა პროგრამა პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპეტენციაზე სავარაუდოდ უნდა გასულიყო, რადგან პრაქტიკულ ნაწილს ღირებული ნაწილი ეკავა და აღნიშნლუთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა მათი ამკაფიო, არგუმენტირებული პოზიცია განეცხადებინათ. საბჭოს წევრმა ასევე ისაუბრა რჩევებთან დაკავშირებით, კერძოდ საბაკალავრო ნაშრომების შეფასების აკადემიური წერის სტანდარტების დაცვის პრაქტიკაში სათანადო ყურადღება მიექცევასთან დაკავშირებით. მან ექსპერტთა ჯგუფის წევრებს სთხოვა, მეტი ინფორმაცია მიეწოდებინათ საბჭოსთვის, თუ რა იყო აღნიშნული საკითხის რჩევაში გათვალისწინების საფუძველი და რატომ არ იყო რეკომენდაციებში, რადგან წარმოადგენდა ყურადსაღებ საკითხს. დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ასევე დამსაქმებლებთან გაფორმებულ მემორანდუმებში სტუდენტთა რაოდენობის და პრაქტიკის ხანგრძლივობის დაზუსტების რჩევასთან დაკავშირებით. აღნიშნული იყო აკრედიტაციის სტანდარტების ერთ-ერთი კრიტერიუმი და რამ განაპირობა აღნიშნული. მემორანდუმების ძირითად ნაწილში იყო ასახული და მხოლოდ რამდენიმეში არა, თუ საერთად არ ჰქონდა დაწესებულებას ეს პრაქტიკა. საბჭოს წევრმა ასევე ისაუბრა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის 2,5 კომპონენტში ასახეულ რჩევასთან დაკავშრებით, რომელიც ეხებოდა ზოგიერთი საგნის სილაბუსში შეფასების ინსტრუმენტების და სწავლა სწავლების მეთოდებისგან მკაფიოდ გაიმიჯვნას, ასევე, სწავლების მეთოდები უფრო მეტად გამრავალფეროვნებასთან დაკავშირებით. საბჭოს წევრს აინტერესებდა, რა მოიაზრეს ექსპერტებმა, ის, რომ სწავლების მეთოდები მრავალფეროვანი იყოს, თუ კონკრეტულად სასწავლო კურსის სპეციფიკასთან არ იყო სწავლა, სწავლების და შეფასების მეთოდები.

საბჭოს თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ იზიარებდა საბჭოს წევრის, დიანა მჭედლიშვილის ბოლო ორ შეკითხვას, რადგან მასაც იგივე შეკითხვები ჰქონდა 2.5 და 2.4 ქვესტანდარტში წარმოდგენილ რჩევებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ისაუბრა საბაკალავრო ნაშრომის შეფასევასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საბაკალავრო ნაშრომებს გაეცნენ და საქმე არ შეეხებოდა შეფასების მექანიზმის ვერ დანახვას,არამედ საუბარი იყო მოთხოვნების დაცვისათვის ყურადღების მიქცევას. მაგალითად, ზოგიერთ შემთხვევაში იყო ნაშრომები, რომლებშიც აკადემიური რეგისტრი იყო ცოტა პრობლემური, ზოგიერთ შემთხვევაში არ ჩანდა კვლევის ჩარარების მეთოდოლოგია და რჩევები უფრო მეტად იყო მოთხოვნების შესრულების დაცვის მექანიზმებთან დაკავსირებით, ვიდრე შეფასების კრიტერიუმებთან, რომლების აბსოლიტურად ცხადი იყო და ჩანდა. ამიტომაც ჩათვალა ექსპერტთა ჯგუფბა, რომ მიეცათ რჩევის სახით და არა რეკომენდაციის.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, მიხეილ ბიჭიამ უპასუხა 2.5 სტანდარტთან, კერძოდ, სწავლა, სწავლების მეთოდების გამრავალფეროვნებასთან და შეფასების ინსტრუმენტებისაგან გამიჯვნასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვას და აღნიშნა, რომ მითითეული იყო რამდენიმე საგანი, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნის ნაწილში ასახა, კეროდ, მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ დომინირებდა რამდენიმე მეთოდი, და არა ისეთი, რომლებიც პრაქტიკაზე შეიძლებოდა ყოფილიყო ორიენტირებული, ასევე კვლევის კომპონენტიც, რომელთან დაკავშირებითაც ექსპერტთა ჯგუფს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ ჩავარდნა შეიძლებოდა ყოფილიყო და აღნიშნულზე აქცენტირება კარგი იქნებოდა. დავალებების ნაწილში მეთოდები ყოფილიყო გამრავალფეროვნებული. დისკუსია, ინდუქცია, დედუქცია თუ სხვა რამ, რაც უფრო მეტად გაამრავალფეროვნებდა ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამას. ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ ამ ნაწილში, რამდენიმე საგანში და არა უმეტესობაში, არსებობდა ეს პრობლემა და შესაბამისად ასახეს დასკვნაში. ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ასევე ისაუბრა აქტივობებთან და შეფასების ინსტრუმენტებისგან გამიჯვნასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ არსებობდა შეფასების მეთოდები და სწავლების მეთოდები. სწავლების მეთოდები ხელს უწყობდა გარკვეული უნარების განვითარებას, მაგრამ აქტივობა, მაგალითად

დედუქცია/ინდუქცია, ან პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, თავისთავად ვერ იქნებოდა შეფასების ინსტრუმენტი, იქიდან გამომდინარე, რომ ეს განიხილებოდა მეთოდად, რომელიც უნარის გამომუშავებას უწყობდა ხელს. მსგავსი პრობლემები ჩანდა რამდენიმე საგანში, ან აღრეული იყო ერთმანეთში და აქედან გამომდინარე, საჭიროდ ჩათვალა ექსპერტთა ჯგუფმა, რომ ნათლად გამოყოფილიყო, თუ რომელი იყო სწავლების მეთოდი და რა ფასდებოდა აქტივობის სახით. ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ასევე აღნიშნა, რომ 2.3 სტანდარტთან დაკავშირებით, რომელიც უახლეს ლიტერატურას შეეხება, მათ არანაირი რჩევა ან რეკომენდაცია არ ჰქონიათ, მხოლოდ და მხოლოდ ჰქონდათ მითითება, რომ ყოფილიყო ერთგვაროვანი მიდგომა, განსაზღვრულიყო გვერდების მოცულობა, რადგან ნაწილს ჰქონდა სილაბუსებში განსაზღვრული, ნაწილს კი - არა. ეს ხელს შეუწყობდა რელევანტურობის განსაზღვრას, კრედიტთან შესაბამისობის დადგენას და ამ თვალსაზრისით, უფრო მეტად შეიძლებოდა, სტუდენტზე ორიენტირებული გამხდარიყო სილაბუსები. ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ისაუბრა ასევე 5.2 ქვესტანდარტზე და აღნიშნა, რომ დამსაქმებლების ბაზართან, პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებასთან, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების, დამსაქმებლის ბაზაზე საწარმოო პრაქტიკის გავლასთან დაკავშირებით იყო მითითებები. ის, რომ ამ ნაწილში ყველა უნივერსიტეტი მოიკოჭლებდა ალბათ გამოწვეული იყო კოვიდ რეგულაციებით, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ სტანდარტების მოთხოვნა იყო და გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფს სხვა ნაწილებიც დასკვნაში მითითებული ჰქონდათ, რომელიც შეეხებოდა თვითშეფასებას, იმას, რომ გარკვეულ ნაწილში გამოსასწორებელი მხარეების სრული ჩამონათვალი არ იკვეთებოდა. ექსპერტთა ჯგუფის წევრმა აღნიშნა, რომ მე-2 სტანდარტი საკმაოდ მოცულობითი იყო და მოიცავდა 6 ქვესტანდარტს და ერთადერთი მითითება იყო დამსაქმებელთა არეალის გაფართოებასთან დაკავშირებული. წინა აკრედიტასიის რეკომენდაციების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ უფრო მეტი გასაუმჯობესებელი მხარე ჩანდა, მიუხედავად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოხატული გულითადი რეკომენდაციისა თუ სურვილისა. ექსპერტთა ჯგუფს ასევე მითითება ჰქონდა, რომ სტუდენტის მხარდასაჭერ ღონისძიებებთან დაკავშირებით, სურვილი იყო უფრო მეტი საერთაშორისო პროექტში ჩართულობის, დასაქმების გაძლიერებისა და გაზრდის თვალსაზრისით. აღნიშნულს ეთანდმებოდა ასევე სტუდენტი ექსპერტი და ინტერვიუების დროსაც გამოიკვეთა მსგავსი საჭიროება. ექპსერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა განმარტა, რომ გასაგები იყო, რას გულისხმობდნენ დაწესებულების წარმომადგენლები, მაგრამ 5.3 ქვესტანდარტი ბმაში იყო 5.2-სა და 5.1 ქვესტანდარტებთან და ვინაიდან ნაწილობრივ იზიარებდნენ მათ, ალბათ, ირიბად აღნიშნულ ნაწილსაც იზიარებდნენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ქეთინო ცხადაძემ, უპასუხა საბჭოს წევრის შეკითხვას ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ კოვიდ რეგულაციებმა სირთულის წინაშე დააყენა ყველა უნივერსიტეტი, მათ შორის წარმოდგენილიც, განსაკუთრებით, პრაქტიკული კომპონენტის გავრცელების ჭრილში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული შეკითხვა ასევე დაისვა ექსპერტების მიერ, ვიზიტის დროს, სადაც, დაწესებულებამ აღნიშნულთან დაკავშირებით მათ პოლიტიკასა და დამოკიდებულებაზე ისაუბრეს. დაწესებულების წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა თავიდან სწავლება სრულად ონლაინ რეჟიმში დაიწყო, თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ, სტუდენტთა სურვილებზე მორგებული და ამ კომპონენტის აღქმის თვალსაზრისით, კითვარების საფუძველზე გააკეთეს ანალიზი და სტუდენტებს მისცეს თავისუფლება, რეგულაციების დაცვით, არჩიათ უნივერსიტეტში დასწრებით სწავლების შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გარკვეული მონიტორინგისა და დაკვირვების შემდეგ, ისინი კვლავ ონლაინ რეჟიმში იყვნენ, რაც გამოიწვია ფაქტორმა, მათ შორის, მწვანე პასპორტების, გეოგრაფიული მდებარეობის, სტუდენტები ფაქტორმა რომლებიც რეგიონებში იყვნენ. თუმცა, მათ ჟურნალისტიკის პროექტის ფარგლებში, დაწესებულებას ჰქონდა პრაქტიკის ისეთი კომპონენტი, როგორი იყო მართლმეტყველება, ასევე აუდიო/ვიზუალური თხრობა, სადაც რიგითობა და ცხრილი სტუდენტებთან შეთანხმებით

აქვთ გაწერილი. სტუდენტები ადგილზე ცხადდებოდნენ და ამ პრაქტიკული კომპონენტის დავალებას ასრულებდნენ. დაწესებულება ყველანაირად ცდილობდა, მორგებოდა ეპიდ სიტუაციასა და ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას, ესმოდად პრაქტიკულიკომპონენტის მნიშვნელობა და პრაქტიკული დავალების შესრულების სირთულეც. მან მაგალითისთვის მოიყვანა შემთხვევა, როდესაც სტუდენტებს ქონდათ დავალება გადაღებასთან დაკავშირებით, თუმცა რიგმ სტუდენტებს, რომლებსაც ტექნიკური საშუალება არ ჰქონდათ დავალების განხორციელებისათვის, ლექტორები მიუდგნენ ინდივიდუალურად და ყველა საშუალებით, რაც ჰქონდათ, შეძლეს ამ დავალების შესრულების მიღება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნატო ონიანმა უპასუხა საბჭოს წევრის მიერ დასმულ შეკითხვას და აღნიშნა, რომ საქმე ჰქონდათ იმ სტუდენტებთან, რომლებიც ერკვეოდნენ ტექნიკაში და გარდა იმისა, რომ უნივერსიტეტშიც ჰქონდათ საშუალება, ლაბორატორიის ხელმძღვანელს შეეძლო დაემონტაჟებინა სტუდენტებისათვის, როგორც რადიო, ასევე ტელეჟურნალისტიკაში მიღებული დავალება, ასევე თავად სტუდენტები ფლობდნენ დამონტაჟების უნარებს ტელეფონის საშუალებით. სხვა გამოსავალი სამწუხაროდ მოცემულ ეტაპზე არ არსებობდა, რადგან, თუ სტუდენტს არ შეეძლო უნივერსიტეტში მისვლა. გამოცხადების შემთხვევაში კი არსებობდა ტელე-რადიო ლაბორატორია და შეეძლოთ იქ დაემონტაჟებინათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნათია ვაჭარაძემ დაამატებით განმარტა წინა აკრედიტაციის დროს გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშიორებით და აღნიშნა, რომ რეკომენდაციები შესრულდა, იმ დროისათვის ლაბორატორია არ იყო შესაბამისად აღჭურვილი, ჩაემატა პრაქტიკული და გაძლიერდა უცხოური ენის კომპონენტი. რამდენჯერმე მოხდა პროგრამის მოდიფიცირება, მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და მიუხედავად იმისა, გარე შეფასება იტყოდა თუ არა რაიმე სახის შენისვნას პროგრამაზე, თავად დაწესებულების წარმომადგენლები, განმავითარებელ ჯგუფთან ერთად, მუდმივად, წელიწადში მინიმუმ ერთხელ, მართავდნენ შეხვედრებს დარგში არსებული უახლესი გამოცდილების იმპლემენტაციისთვის, საერთაშორისო ანალოგებთან დადარებისთვის. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაახლოებით 5-ჯერ მოხდა პროგრამის მოდიფიცირება. დაწესებულების წარმომადგენლები მხაობას აცხადებდნენ და ასრულებდნენ გარე შეფასების მოთხოვნებს. დამსაქმებლებთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რამდენიმე ხელსეკრულებაში არ იყო მითითებული სტუდენტთა რაოდენობა. სულ 17 დაწესებულებასთან ჰქონდათ ურთიერთობა და კიდევ მიმდინარეობდა მოლაპარაკებები სხვადასხვა ინსტიტუციებთან ხელშეკრულების დადების თაობაზე. დაწესებულების წარმომადგენლები გეგმავდნენ, რომ უახლოესი 3 წლის მანძილზე მხოლოდ 70 სტუდენტი მიეღოთ პროგრამაზე და ამით ხარისხზე აკეთებდნენ ორიენტაციას და არა რაოდენობაზე. ის გამტარობა, რაც ჰქონდა პრაქტიკის 17 ობიექტს და კიდევ გაიზრდებოდა, სრულიად საკმარისი იყო აღნიშნული რაოდენობის სტუდენტების ხარისხიანი და შესაბამისი პრაქტიკის გავლა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, რამაზ კუკულაძემ უპასუხა შეკითხვას, თუ რითი ხელმძღვანელობდნენ პროგრამის ცვლილებისას, გარე უნივერსიტეტებთან პარტნიორობის ჭრილში და აღნიშნა, რომ მისი შვილი და მისი მეგობრები იყვნენ სტუდენტები, იმყოფებოდნენ ბოსტონში და ის კონკრეტული პროგრამა, რომელშიც დაწესებულების წარმომადგენელი აქტიურად იყო ჩართული, ორ რამეზე იყო აწყობილი. უნივერსიტეტის ამოცანა არ იყო მხოლოდ რეპორტიორების გამოშვება, მას ჰქონდა სამეწარმეო მიმართულებით გარკვეული ამოცანები. „ბლოგიზმი“ ისევე, როგორც „ბლოგერობა“, „პოდკასტები“ საკმაოდ აქტუალური, საინტერესო და ძალიან შემოსავლიან ბიზნესად შეიძლება აქციონ სტუდენტებმა. ერთი, რის გამოც აღნიშნული მიმართულებების დამატება გადაწყვიტეს დაწესებულების წარმომადგენლებმა, აღნიშნულით იყო განპირობებული, მეორე იყო ის, რომ გაეცნენ ნორს

ისტერნის, ბოსტონის უნივერსიტეტის ბოსტონის კოლეჯი, თუ რაპროგრამებით ხელმძღვანელობდნენ ისინი და რაც დაინახეს საინტერესო და ადაპტირებისთვის შესაძლებელი, შესაბამისად ადაპტირდა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:50
დასრულების დრო: 16:30

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

საბჭოსმ ნაწილოებრივ გაიზიარა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება და დააფორმულირა გაცემული რეკომენდაციენი და ჩევები. კერძოდ 2.3, 3.1 და 5.1 კომპონენტიბი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეაფასა როგორც „შესაბამისია მოთხოვნებთან“. აღნიშნულმა ცვლილებამ გამოიწვია მე-3 და მე-5 სტანდარტების შეფასების ცვლილება და შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. 2.4 და 2.5 კომპონენტების შეფასება ნახვლად „შესაბამისია მოთხოვნებთან“ შეაფასა, როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ რამაც გამოიწვია მე-2 სტანდარტის შეფასების ცვლილება და შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები. საბოლოო სახით კი ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში მკაფიოდ გამოიკვეთოს და გაიმიჯნოს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს აღმწერის მესამე კომპეტენცია „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“.
2. რეკომენდებულია დამსაქმებლებთან გაფორმებულ მემორანდუმებში დაზუსტდეს სტუდენტთა რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა;
3. რეკომენდებულია საბაკალავრო ნაშრომების მეთოდოლოგიის, აკადემიური წერის სტანდარტების და შეფასების კრიტერიუმების დაცვა;
4. რეკომენდებულია რიგ სასწავლო კურსის სილაბუსში (მაგ. მედიამენეჯმენტი, ანალიტიკური ჟურნალისტიკა, ბეჭდური მედია, საზღვარგარეთის მედია) გადაიხედოს შეფასების ინსტრუმენტები და მკაფიოდ გაიმიჯნოს სწავლება-სწავლის მეთოდისგან; ასევე, სწავლების მეთოდები უფრო მეტად გამრავალფეროვნდეს.
5. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო პროდუქტიულობის ამაღლება-შენარჩუნებასა და აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.
6. რეკომენდებულია, უზრუნველყოფილ იქნეს სტუდენტთა მხრიდან სასწავლო პროცესის შეფასების დროს ხარისხის შეფასების ფორმების მკვეთრად გამიჯვნა, სასწავლო პროცესის კომპონენტების დაცვა-შეფასებაზე სათანადო მონიტორინგი.

რჩევები:

1. სასურველია, რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსში აისახოს სავალდებულო ლიტერატურის რეალისტური რაოდენობა, კერძოდ, შემცირდეს და გადანაწილდეს დამხმარე ლიტერატურაში.
2. სასურველია სასწავლო კურსთა სილაბუსებში აქტივობის ქულების გადანაწილებასთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზების გასწორება;
3. სასურველია სასწავლო კურსი „ჰიბრიდული ომების გავლენა მედიაზე“ მოდიფიცირდეს „საინფორმაციო ომების გავლენად მედიაზე“;
4. სასურველია, სტუდენტებთან მეტი მუშაობა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის სტიმულირების მიზნით, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია ჟურნალისტის პროფესიისთვის;
5. სასურველია, გასწორდეს პროფესორ-მასწავლებელთა შრომით ხელშეკრულებებში არსებული ტექნიკური უზუსტობა.
6. სასურველია, მედიალაბორატორიების დამატებისა და მათთვის აუცილებელი ინვენტარის გაზრდის ტენდენცია გაგრძელდეს;
7. სასურველია, ბიუჯეტის დოკუმენტში დეტალურად აისახოს სასწავლო-სამეცნიერო კომპონენტთან დაკავშირებული დაფინანსება;
8. სასურველია, სტუდენტთა მიერ სასწავლო პროცესის შეფასების დროს ცალცალკე შეფასდეს სასწავლო კურსები და პროფესორ-მასწავლებელთა საქმიანობა;
9. სასურველია უნივერსიტეტმა ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის მოქმედების ვადა გაახანგრძლივოს და ამის თაობაზე შესაბამისი დოკუმენტი მიიღოს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ალტე უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო პროგრამისათვის 7 წლის ვადით, აკრედიტაციის მინიჭების საკითხი ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ალტე უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მეორე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	09.12.2011 №436

5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ეკონომიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	დონე 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0311 ეკონომიკა / Economics
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი 13 კმ, #2, 0131
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

მესამე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	09.12.2011 №440
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ეკონომიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	დონე 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0311 ეკონომიკა / Economics
13	სწავლების ენა	ინგლისური
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი	თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი 13 კმ, #2, 0131
16		-

	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითააცილება განაცხადა დიანა მჭედლიშვილმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. ბიბლიოთეკამ უნდა უზრუნველყოს სავალდებულო ლიტერატურის ადგილზე არსებობა;
2. მიზანშეწონილია სისტემატურად ხდებოდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის განახლება/შევსება, რათა იგი ასახავდეს დარგის თანამედროვე მიღწევებს და მოიცავდეს უახლეს კვლევებს ამ სფეროში;
3. საჭიროა სასწავლო კურსებში ინტეგრირებული იყოს უახლესი ინფორმაცია თანამედროვე ეკონომიკის აქტუალურ პრობლემებზე;
4. აუცილებელია პრაქტიკა/ სტაჟირების პროფილური გაძლიერება, რათა პროგრამის კურსდამთავრებულთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარება მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი იყოს;
5. მიზანშეწონილია კარიერული სამსახურის გააქტიურება სტუნდენტთა დასაქმების მიზნით კვალიფიკაციის შესაბამისად; კერძოდ, ადმინისტრაციის მხრიდან გააქტიურდეს შეხვედრა/სემინარების ორგანიზება პოტენციურ დამსაქმებლებთან სტუდენტების ჩართულობით;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, აზერ დილანჩიევმა განაცხადა, რომ უსდ-ში ყოველწლიურად ტარდებოდა JOB FAIR, სადაც მონაწილეობას იღებდნენ შავი ზღვის უნივერსიტეტის სტუდენტები. მისი თქმით, უნივერსიტეტი თანამშრომლობდა ტრანსფორმცაიების ტეკონომიკის კვლევების ცენტრთან, საიდანაც 4 კურსდამთავრებულმა

მოიპოვა გრანტი და გამოიცა წიგნი. ასევე, უნივერსიტეტი თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციასთან, სადაც სტუდენტები გადიან სტაჟირებას. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ექსპერტები შეხვდნენ სტუდნეტს, რომელიც ბანკში გადიოდა სტაჟირებას და პარალელურად მუშაობდა. მისი განმარტებით, როდესაც სტუდნეტი გადის სტაჟირებას ბანკში, აუცილებელი მოთხოვნაა, რომ ეკონომიკური კომპონენტიც შეასრულოს. ლიტერატურასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რეკომენდაციაში დაფიქსირებული სტატისტიკის წიგნთან დაკავშირებით იყო ტექნიკური შეცდომა. რადგან ქართულ სექტორში იყო იგივე წიგნი, თუმცა წელი იყო 2011. ასევე რეკომენდაციაშ დაფიქსირებული ერთ-ერთი წიგნი გატანილი იყო ბიბლიოთეკიდან, რადგან ლექტორი ანახლებდა სილაბუსს. გარდა ლიტერატურისა, ასევე გამოყენებულია Lecture Note, რომელიც ყოველწლიურად იცვლება, რადგან ეკონომიკა იზრდება და ეს არის დინამიური პროცესი.

დაწესებულების წარმომადგენლის, ნინო ჯოჯუას თქმით, აღწერით ნაწილში ყურადღება გაკეთებული იყო გამახვილებული დამატებით ლიტერატურაზე, რომ ლიტერატურები იყო 2002, 2005, 2007, თუმცა ინსტიტუციის მოსაზრებით აღნიშნული საკითხი დამატებით ლიტერატურასთან დაკავშირებით წარმოადგენდა აკადემიური პერსონალის აკადემიური თავისუფლების ნაწილს და ზოგ შემთხვევაში ძველ ლიტერატურაში გაცილებით უფრო კარგად და გაშლილად არის ინფორმაცია ვიდრე შემდგომ გამოცემებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშან, რომ სავალდებულო საგნების სილაბუსებში („ეკონომიკური ზრდა განვითარება“, „ეკონომიკური ინტეგრაცია ევროპაში“, „მაკრო ეკონომიკა“, „ფისკალური ეკონომიკა“) ძირითადი ლიტერატურა იყო ინგლისურენოვანი და ასევე იყო მითითება ლექტორის მიერ მომზადებულ მასალაზე. საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ გაეცნენ ექსპერტები აღნიშნულ მასალას და ასევე, როგორ არეგულირებდა ინსტიტუცია ამ საკითხს. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ „საჯარო ეკონომიკის“ სასწავლო კურსში, ლიტერატურა მითითებული იყო საჯარო ფინანსებიდან. მისი თქმით, საჯარო ფინანსები ვერ დაფარავდა საჯარო ეკონომიკას, რადგან ეს იყო მხოლოდ მისი ნაწილი, სადაც ასევე იყო მითითება ლექტორის მიერ მომზადებულ მასალაზე. საბჭოს წევრი დაინტერესდა, რა ფორმით იყო წარმოდგენილი აღნიშნული მასალა.

საბჭოს თავმჯოდმარემ, აღნიშნა, რომ ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსებში იყო კურსი „ფსიქოლოგიის საფუძვლები“.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჯოჯუამ განაცხადა, რომ „ფსიქოლოგიის საფუძვლების“ სასწავლო კურსი არ იყო ძირითადო სწავლის სფეროს სასწავლო კურსებში, არამედ წარმოდგენილი იყო სავალდებულო კურსებში, რათა სტუდენტმა შეძლოს შემდგომ ქცევითი ეკომონიკის შეწავლა.მისი თქმით ძირითადი სწავლის სფეროში დათვლილი იყო მხოლოდ ეკონომიკასთან დაკავშირებული სასწავლო კურსები.

საბჭოს თავმჯდომარემ, ასევე დაამტა, რომ შესაძლებელია „ფსიქოლოგიის საფუძვლების“ სასწავლო კურსი, იყოს სავალდებულო, თუმცა მისი განმარტებით აღნიშნულ კურსში განსაზღვრული იყო კონკრეტული სწავლის შედგები, მაგალითად „სტუდენტი გაერკვევა ისეთ საკითებში, როგორიც არის ფსიქიკის განვითარება ფილოგენესა და ონტოგენეზში“ „ცნობიერების და არაცნობიერების კატეგორიები“ და ა.შ. ასევე პროგრამის რუკაში მითთებულია, რომ აღნიშნული კურსი გადის პროგრამის სწავლის მე-2 შედეგზე - „სტუდენტი განსაზღვრავს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად ცნებებს, კატეგორიებს, პრინციპებს. მსჯელობს მიკრო, მაკრო, საერთაშრისო დონეზე ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებზე.“ საბჭოს წევრი დიანტერესდა, როგორ იყო შესაძლებელი აღნიშნული სავალდბულო კურსის შედეგი შესატყვისი ყოფილიყო პროგრამის მე-2 სწავლის შედეგიის. საბჭოს თავმჯდომარე, ასევე დაინტერესდა პრაქტიკასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სილაბუსში წინაპირობად იყო ჩანაწერი, რომ სულ მცირე 32 კრედიტი უნდა ჰქონოდა სტუდნეტს 42 კრედიტიანი სავალდებულო კონცენტრაციისგან. ხომ არ იყო ეს ტექნიკური უზუსტობა. ასევე, საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, თუ გაეცნენ საბაკლავრო ნაშრომებს და

როგორ შეფასებდნენ. ასევე, როგორია საბაკლავრო ნაშრომის დაცვის მექანიზმები. საბჭოს თავმჯდომარის თქმით, პრაქტიკის სილაბუსში საბოლოო შეფასება იყო 30 ქულიანი, სადაც მონაწილეობას იღებდნენ დარგის სპეციალისტები, მათ შორის პროგრამის კოორდინატორი, მენტორი და PHD სპეციალისტი. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ ვინ იყო მენტორი, როგორ იყო განაწილებული სუბიექტთა როლები და შეფასების ქულა.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, აღნიშნა, რომ ექსპერტებს რჩევით სახით ჰქონდათ წარმოდგენილი სავალდებულო და არჩევით კურსებთან დაკავშირებული საკითხი, მისი მოსაზრებით საინტერესო იქნებოდა ექსპერტების პოზიცია ამასთან დაკავშირებით, თუ რას ეფუძვნებოდა აღნიშნული რჩევა. საბჭოს წევრმა, ასევე აღნიშნა, რომ სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსებში მითითებული იყო ფილოსოფიის პრინციპები, რომელიც საბჭოს წევრის მოსაზრებით, თავისი შინაარსით სცილდებოდა ეკონომიკისათვის რელევანტურ შინაარსს. საბჭოს წევრი დაინტერესდა, რარომ მოხდა სპეცილობით არჩევით კურსებში აღნიშნული სასწავლო კურსი.
ექსპერტთა თავმჯდომარემ, უპასუხა შეკითხვებს და განმარტა, რომ ლიტერატურასთან დაკავშირებით, ინსტიტუციის მხრიდან იყო განმარტებული, რომ სტუდენტს ჰქონდა გატანილი ლიტერტაურა, რაც გასაგები იყო ექსპერტთა ჯგუფისთვის, თუმცა 1 წიგნის არსებობა, ექსპერტთა მოსაზრებით არ იყო საკმარისი. გარდა ამისა, ონლაინ რეჟიმის გათვალისწინებით სტუდენტები არ დადიან უნივერსიტეტებში, აქედან გამომდინარე ექსპერტების მოსაზრებით წიგნი უნდა ყოფილიყო ადგილზე. მისი განმარტებით, მოთხოვნა, რომელიც ჰქონდათ ექსპერტებს, შესაძლებელია გამოწვეული ყოფილიყო ინსტიტუციის მხრიდან ტექნიკური ხარვეზი, თუმცა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირდა ის საკითხი, რაც ადგილზე ნახა ექსპერტთა ჯგუფმა. ექსპერტთა ჯგუფი, ასევე გაეცნო საბაკლავრო ნაშრომებს, დაწესებულების წარმომადგენლებთან იკითხეს, თუ რა მექანიზმით ამოწმებდნენ ნაშრომებს პლაგიატზე. აღმოჩნდა, რომ ინსტიტუციას ჰქონდა შესაბამისი პლატფორმა, რომლის საშუალებითაც პლაგიატზე ამოწმებდნენ ნაშრომებ. რეგულაციით არ იყო გაწერილი, თუმცა ეს პროცესი მიმდინარეობდა და ნამდვილად მოწმდებოდა ნაშრომები. ლიტერატურასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მნიშნველოვანი იყო ლიტერატურის განახლება, რადგან ეკონომიკაში ყოველდღიური ცვლილებები ხდებოდა, ის არ იყო ჰუმანიტარული დარგი, რომ იდეოლოგია ჩამოეცილებინათ და რისი სწავლებაც ადრე მიმდინარეობდა იგივე ესწავლებინათ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მაგალითად მოიყვანა ფისკალური ეკონომიკის საგანი, რომლის ძირითად ლიტერატურაშიც 2004 წლის სახელმძთვანელოები იყო მოცემული, ხოლო ბლანშარის მაკროეკონომიკის საგნის შირითად ლიტერატურაში 2010 წლის სახელმძღვანელოები იყო მითითებული მაშინ, როდესაც დამხმარე ლიტერატურაში 2015 წლის, განახლებული ლიტერატურა იყო მოცემული. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, გასაგები იყო, რომ უცხოენოვანი ლიტერატურა იყო გამოყენებული და აქედან გამომდინარე, ბევრად უფრო ადვილი იყო ჩანაცვლება. შესაძლოა, რომელიმე ლიტერატურის თარგმანი არ არსებულიყო და ამიტომ ძველი სახელმძღვანელოთი ესწავლებინათ, თუმცა მიმდინარე დროისათვის, ეკონომიკის მიმართულებით უკვე იმდენი სახელმძღვანელო იყო ნათარგმნი, რომ სირთლეს არ წარმოადგენდა, განსაკუთრებით ინსტიტუციისთვის, რომელსაც საკმაოდ კარგი აკადემიური პერსონალი ჰყავდა და პროგრამის განმახორციელებელი საკმაოდ მაღალ კვალიფიციური იყო. აქედან გამომდინარე, ფიქრობდა, რომ შესაძლებელი იყო აღნიშნულის გამოსწორება.
დაწესებულების წარმომადგენელმა, უპასუხა საბჭოს წევრის შეკითხვას, ლექტორის მასალების მოწოდებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ შინაარსობრივ საკითხებში ლექტორი და პროგრამის კოორდინატორი იყვნენ პასუხისმგებელი, თუმცა, ხარისხის დოკუმენტაციაში მოცემული იყო, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ყოველ სემესტრში 4-ჯერ, ამოწმებდა ელექტრონულ ბაზებს სილაბუსის ატვირთვასთან დაკავშირებით, გარდა ამისა კიდევ ამოწმებდა, ელექტრონული მასალები იყო თუ არა ატვირთული, შეფასებები იყო თუ არა ბაზაში შეყვანილი. აღნიშნულის კონტროლი აუცილებლად ხორციელდებოდა და გარდა ამისა

აუცილებლად ხდებოდა სტუდენტებთან კომუნიკაცია. იმ შემთხვევაში, თუ დაფიქსირდებოდა დაგვიანება, ან არ მოხდებოდა საჭირო დროს მასალების მიწოდება, ხდებოდა პროგრამის კოოდინატორის, ფაკულტეტის, ლექტორის გაფრთხილება და ხარვეზის გამოსწორება. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე უპასუხა ელექტრონულ მასალასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვას და განმარტა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებს ყველა სახელმძღვანელო გადატანილი ჰქონდათ ციფრულ პორმატში, ასევე ჰონდათ კონკრეტულად იმ სახელმძღვანელოს ციფრული ვერსიაც, რომელზეც საუბარი იყო ექსპერტთა ჯგუფისა და საბჭოს წევრთა მიერ და ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, იმიტომ არ მომხდარა ელექტრონული მასალის მიწოდება, რომ პირდაპირ შემოწმდა ბაზაში, გატანასთან დაკავშირებით და ინფორმაცია არ მიეწოდათ, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი, დამატებით გამოთხოვილ მასალასთან ერთად, დაწესებულების წარმომადგენლებმა, ვიზიტის მეორე დღესვე, ექსპერტებს მიაწოდეს ინფორმაცია აღნიშნულ სახელმძღვანელოსთან და ელექტორნულ ვერსიასთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, უნივერსიტეტი ძალიან დიდ ყურადღებას უთმობდა ელექტრონულ მასალებსა და სახელმძღვანელოებს, არ არსებობდა არც ერთი სასწავლო კურსი, რომელსაც რაიმე პრობლემა ჰქონდა ლიტერატურასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, საბჭოს წევრის შეკითხვას, რომ ქართული სექტორის რამდენიმე საგანში, ინგლისური ლიტერატურატურა იყო მოცემული, უპასუხა და აღნიშნა, რომ პრერეკვიზიტად განსაზღვრული იყო ბიზნეს ინგლისურისა და „B2“ დონის ინგლისური ენის ცოდნა, იმისათვის, რომ აღნიშნული საგნის გავლა შესძლებოდა სტუდენტს. სილაბუსში მოცემული იყო, რომ ეს სახელმძღვანელო მე-3 და მე-4 კურსელებისათვის იყო. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა საჯარო ფინანსებისა და საჯარო სექტორის ეკონომიკის საკითხთან დაკავშირებით. მან განმარტა, რომ საგნისათვის სახელის შეცვლა ექსპერტებთან შეთანხმებული იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა ილია ბოცვაძემ განაცხადა, რომ მენტორი იყო კომპონიის წარმომადგენელი, ვინც ხელმძღვანელობდა სტუდენტს სტაჟირების ობიექტზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, ფსქიოლოგიის სასწავლო კურსი იყო პრერეკვიზიტი „behavioural economics“- სასწავლო კურსის. ხოლო, როდესაც პროგრამა მზადდებოდა, ინსტიტუცია მუშაობდა სხვადასხვა პროექტებზე სტუდენტებთან ერთად „behavioural economics“-ის ფარგლებში. პროგრამაზე მუშაობისას, ინსტიტუციამ გაითვალისწინა სტუდენტებისა და სპეციალისტების აზრი და როდესაც დაამატეს „behavioural economics“ სასწავლო კურსი, რომლის პრერეკვიზიტი იყო ფსიქოლოგიის სასწავლო კურსი. ფსიქოლოგიის სასწავლო კურსთან დკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა დააფიქსირა მოსაზრება, რომ აღნიშნული სასწავლო კურსი უნდა იყოს ეკონომიკის პროგრამაში.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დააზუსტა შეკითხვა და დაინტერესდა რამდენად შეესაბამებოდა ფილოსოფიის აღნიშნული კურსი, სპეციალობის არჩევით კურსს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, განმარტა, რომ ფილოსოფიის სასწავლო კურსი არ იყო სპეციალობის არჩევით კურსში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, განმარტა, რომ ინსტიტუციამ დამატებით დოკუმენტებში წარმოადგინა პროგრამა, სადაც გასწორებული იყო ტექნიკური ხარვეზები. დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე ხაზი გაუსვა, რომ ფილოსოფიის სასწავლო კურსი არ იყო სპეციალობის არჩევითი კურსი, ხოლო სპეციალობის სავალდებულო კურსებში შედიოდა შემდეგი სასწავლო კურსები: „აგრარული ეკონომიკა“,“ინოვაციური ეკონომიკა“, „ტურიზმის ეკონომიკა“, „საქართველოს ეკონომიკა“ „შრომის ეკონომიკა“.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. ბიბლიოთეკამ უნდა უზრუნველყოს სავალდებულო ლიტერატურის ადგილზე არსებობა;
2. მიზანშეწონილია სისტემატურად ხდებოდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის განახლება/შევსება, რათა იგი ასახავდეს დარგის თანამედროვე მიღწევებს და მოიცავდეს უახლეს კვლევებს ამ სფეროში;
3. საჭიროა სასწავლო კურსებში ინტეგრირებული იყოს უახლესი ინფორმაცია თანამედროვე ეკონომიკის აქტუალურ პრობლემებზე;
4. აუცილებელია პრაქტიკა/ სტაჟირების პროფილური გაძლიერება, რათა პროგრამის კურსდამთავრებულთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარება მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი იყოს;
5. მიზანშეწონილია კარიერული სამსახურის გააქტიურება სტუნდენტთა დასაქმების მიზნით კვალიფიკაციის შესაბამისად; კერძოდ, ადმინისტრაციის მხრიდან გააქტიურდეს შეხვედრა/სემინარების ორგანიზება პოტენციურ დამსაქმებლებთან სტუდენტების ჩართულობით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჯოჯუამ განმარტა, რომ ინსტიტუციის პოზიცია რეკომენდაციებთან დაკავშირებით იყო იგივე, როგორც ეს ქართულ ენოვანი პროგრამის შემთხვევაში იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა, აზერ დილანჩიევმა, დაამატა, რომ ძველ პროგრამაში იყო, რომ სტუდენტს უნდა აერჩია ან სტაჟირება, ან საბაკალავრო ნაშრომი, თუმცა ახალი პროგრამის პირობებში სავალდებულო გახდა, როგორც სტაჟირება, ასევე საბაკლავრო ნაშრომი. პრაქტიკის კუთხით, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით ინსტიტუციამ გაამლიერდა პროგრამა, დაემატა ახალი საგნები, რომელბიც საქართველოს სხვა არცერთ უნივერსიტეტშ არ იყო წარმოდგენილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, მაკა კაჭარავა დაინტერესდა, რას გულისხმობდნენ ექსპერტები პრაქტიკის გაძლიერებაში, რადგან პროგრამაში პრაქტიკას დიდი რაოდენობის კრედიტების მოცულობა ჰქონდა. მისი თქმით, ვერ გახსნა მემორანდუმების საქაღალდე რადგან იყო ცარიელი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ფსიქოლოგიის სასწავლო კურსთან დაკავშირებით, საბჭოს თავმჯდომარემ, ასევე დაამტა, რომ შესაძლებელია „ფსიქოლოგიის საფუძვლების“ სასწავლო კურსი, იყოს სავალდებულო, თუმცა მისი განმარტებით აღნიშნულ კურსში განსაზღვრული იყო კონკრეტული სწავლის შედგები, მაგალითად „სტუდენტი გაერკვევა ისეთ საკითებში, როგორიც არის ფსიქიკის განვითარება ფილოგენესა და ონტოგენეზში“ „ცნობიერების და არაცნობიერების კატეგორიები“ და ა.შ. ასევე პროგრამის რუკაში მითთებულია, რომ აღნიშნული კურსი გადის პროგრამის სწავლის მე-2 შედეგზე - „სტუდენტი განსაზღვრავს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად ცნებებს, კატეგორიებს, პრინციპებს. მსჯელობს მიკრო, მაკრო, საერთაშრისო დონეზე ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებზე.“ საბჭოს წევრი დიანტერესდა, როგორ იყო შესაძლებელი აღნიშნული სავალდბულო კურსის შედეგი შესატყვისი ყოფილიყო პროგრამის მე-2 სწავლის შედეგიის. საბჭოს თავმჯდომარე, ასევე დაინტერესდა პრაქტიკასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სილაბუსში წინაპირობად იყო ჩანაწერი, რომ სულ მცირე 32 კრედიტი უნდა ჰქონოდა სტუდნეტს 42 კრედიტიანი სავალდებულო კონცენტრაციისგან. ხომ არ იყო ეს ტექნიკური უზუსტობა. ასევე, საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, თუ გაეცნენ საბაკლავრო ნაშრომებს და როგორ შეფასებდნენ. ასევე, როგორია საბაკლავრო ნაშრომის დაცვის მექანიზმები. საბჭოს თავმჯდომარის თქმით, პრაქტიკის სილაბუსში საბოლოო შეფასება იყო 30 ქულიანი, სადაც

მონაწილეობას იღებდნენ დარგის სპეციალისტები, მათ შორის პროგრამის კოორდინატორი, მენტორი და PHD სპეციალისტი. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ ვინ იყო მენტორი, როგორ იყო განაწილებული სუბიექტთა როლები და შეფასების ქულა.
საბჭოს წევრმა გიორგი ღაღანიძემ დააზუსტა, ქართულ ენოვანი პროგრამა იყო ქართულ ენოვანი თუ ეს იყო ქართული ენოვანი პროგრამა ინგლისური კომპონენტებით. მისი თქმით ეს საკითხი იყო მნიშვნელოვანი, რადგან ქართულენოვან პროგრამაში საბჭოს წევრის მოსაზრებით არ უნდა იყოს ინგლისური ლიტერატურა შეთავაზებული სტუდენტისათვის.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჯოჯუამ განმარტა, რომ ქართულ ენოვან პროგრამაზე შესაძლებელი იყო ინგლისურენოვანი ლიტერატურის არსებობა, რადგან სტუდენტებს ჰქონდათ შესაბამისი ცოდნა და შესაბამისი კურსიდან შეეძლოთ ლიტერატურის შესწავლა და დამუშავება.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ვახტანგ ჩალაფეიქრიშვილმა, ლიტერტურასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ძირითადად ქართულ და ინგლისურ სექტორში თავად ასწავლიდა. მისი თქმით, მათ ჰქონდათ როგორც წესი ლექციები, დავალება, პრეზენტაციები, ხოლო დამატებითი მასალების, რაც აღნიშნულ საკითხებთან იყო დაკავშირებული სტუდენტებისათვის ხდებოდა ქართულენივანი მასალების მიწოდებოდა. ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ხშირ შემთევვაში, ერთ კონკრეტულ წიგნში უფრო კარგად არის გაშლილი ის საკითები, რომელიც სჭირდება სტუდენტს ვიდრე 3 სხვადასხვა წიგნში. ამიტომ ლექტორი, შესაბამისად ირჩევს აღნიშნულ წიგნს. ინსტიტუცია, ყოველი წლის ბოლოს ატარებს მონიტორინგს, ლიტერატურასტან დაკავშირებით, ხომ არ დაიწერა ახალი სახელმძღვანელო ან სტატია.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ინგლისურენოვანი პროგრამის შემთხვევაშიც, ძველი პროგრამა იყო წარმოდგენილი.
დაწესებულების წარმომადგენელმა, განმარტა, რომ ექსპერტებისათვის მათ მიწოდებული ჰქონდათ განახლებული პროგრამა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ასევე შესაძლებელი იყო განახლებული პროგრამის გაზიარება საბჭოს სხდომაზეც.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, მაია ბარამიძემ განმარტა, რომ პროგრამა იყო ძალიან კარგი, თუმცა არ არსებობს უნაკლო პროგრამა, ხოლო ის რეკომენდაციები, რომლებიც გაიწერა ექსპერტთა ჯგუფის მიერ იყო მართებული და რელევანტური. ექსპერტის თქმით, ლიტერატურასთან დაკავშირებით გაწერილი რეკომენდაცია შეეხებოდა არამხოლოდ დამხმარე ლიტერატურას, არამედ ძირითად ლიტერატურასაც, რადგან გამოყენებული იყო ძელი გამოცემები. ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფი დაყრდნო იმ დოკუმენტაციას, რომელიც მიაწოდა მათ ინსტიტუციამ. პრაქტიკასთან დაკავშირებით, ექსპერტმა განმარტა, რომ ექსპერტმა შერჩევითობის პრინციპით შეარჩია პრაქტიკის ანგარიში, სადაც იყო „სვის კაპიტალის“ პრაქტიკა. ექსპერტის განმარტებით, ის პრაქტიკული და თეორიული მასალები, რომლებიც მოცემული იყო პრაქტიკის ანგარიშში არ შეეხებოდა პროგრამის ძირითად სფეროს. ექსპერტის თქმით, რეკომენდაციების მიზანი იყო უფრო მეტად გაუმჯობესებულიყო პროგრამა. ექსპერტმა, საბჭოს წევრის, კითვაზე, რომ არჩევითი საგნებიდან ძირითადში გადასულიყო სასწავლო კურსები, ბრძანა, რომ ამასთან დაკავშირებით ექსპერტებს ჰქონდათ რჩევა, რადგან პროგრამაში ნამდვილად იყო წარმოდგენილი ძირითადი სწავლების სფეროში ის საგნები, რომლებიც პასუხობდა პროგრამის მიზანს და სწავლის შედგებს, თუმცა ფორმულირება, რომ შინაარსობრივი თვალსაზრისით გაძლიერდეს, იყო რჩევის ხასიათის. ექსპერტის თქმით, ასევე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა შეფასების საბაკლავრო ნაშრომები, რომლებიც მისი განმარტებით პასუხობდა გრადაციას და იყო, როგორც კარგი, ასევე შედარებით სუსტი ნაშრომები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:42

დასრულების დრო: 18:17

მეორე საკითხი:

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. კერძოდ, 1.2 და 5.1 კომპონენტები ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია პირველი და მე-5 სტანდარტის შეფასების ცვლილება; 3.1 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეაფასა როგორც „შესაბამისია მოთხოვნებთან“. აღნიშნულმა ცვლილებამ გამოიწვია მე-3 სტანდარტის შეფასების ცვლილება და შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები. საბოლოო სახით კი ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია გადაიხედოს ცალკეული სასწავლო კურსების ადგილი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში და ჩასწორდეს ხარვეზები კურიკულუმის რუკაში.
2. ბიბლიოთეკამ უნდა უზრუნველყოს სავალდებულო ლიტერატურის ადგილზე არსებობა;
3. მიზანშეწონილია სისტემატურად ხდებოდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის განახლება/შევსება სწავლების შესაბამის ენაზე.
4. საჭიროა სასწავლო კურსებში ინტეგრირებული იყოს უახლესი ინფორმაცია თანამედროვე ეკონომიკის აქტუალურ პრობლემებზე.
5. რეკომენდებულია სავალდებულო სასწავლო კურსი „ ფსიქოლოგიის საფუძვლები“ შინაარსი, სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სწავლის შედეგებთან.
6. აუცილებელია პრაქტიკა/ სტაჟირების პროფილური გაძლიერება, რათა პროგრამის კურსდამთავრებულთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარება მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი იყოს.
7. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები რიგი სასწავლო კურსების პროგრამის სწავლის შედგებთან შესაბამისობის მიზნით.

რჩევები:

1. ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები სასურველია იმავდროულად აისახოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, სადაც ამჟამად 2018 წლით დათარიღებული ქართულენოვანი პროგრამაა წარმოდგენილი;
2. სასურველია, რომ პროგრამის ფარგლებში მეტად გაიმიჯნოს ეკონომიკის და ბიზნესის საგნები და ეს უკანასკნელი თავისუფალი კომპონენტის/ არჩევითი კურსების ბლოკში გადავიდეს.
3. სწავლის შედეგებთან სასწავლო კურსების შინაარსობრივი შესაბამისობის გაძლიერების მიზნით სასურველია ცალკეული არჩევითი საგნების გადანაცვლება სავალდებულო სასწავლო კურსების კომპონენტში (მაგალითად, შრომის ეკონომიკა, ქცევითი ეკონომიკის შესავალი, მაკროეკონომიკური დიაგნოსტიკა, ინოვაციური ეკონომიკა და სხვა.);
4. გასასწორებელია ტექნიკური ხარვეზები იქ, სადაც ერთიდაიგივე საგანი სხვადასხვა სიტყვებით არის ფორმულირებული;

5. სასურველია პროგრამის სასწავლო გეგმის სტრუქტურის დალაგება სწავლის სფეროების კლასიფიკატორში მოცემული სქემის მიხედვით - სწავლების ძირითადი სფეროს და თავისუფალი კომპონენტები, სავალდებულო და არჩევითი კურსების ქვეკატეგორიები.
6. სასურველია გაფართოვდეს საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები ნამუშევრების ხარისხის შემდგომი ამაღლების მიზნით
7. სასურველია, პერსონალი და სტუდენტები მეტად იყვნენ ინფორმირებული პროგრამაზე, რომელიც პლაგიატზე ნაშრომების შემოწმების შესაძლებლობას იძლევა;
8. სასურველია კარიერული სამსახურის გააქტიურება სტუნდენტთა დასაქმების მიზნით კვალიფიკაციის შესაბამისად; კერძოდ, ადმინისტრაციის მხრიდან გააქტიურდეს შეხვედრა/სემინარების ორგანიზება პოტენციურ დამსაქმებლებთან სტუდენტების ჩართულობით.
9. სასურველია, დაწესებულებამ/ფაკულტეტმა პროგრამის ფარგლებში ხელი შეუწყოს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო კონფერენციებში.
10. სასურველია ბიუჯეტის უფრო გასაგები ფორმატით ფორმირება და საბიუჯეტო პოლიტიკის დოკუმენტის შექმნა.
11. სასურველია ერთ დოკუმენტში იყოს წარმოდგენილი ხარჯები და მათი დაფარვის წყაროები.
12. დაწესებულებამ უზრუნველყოს დარგის სპეციალისტებიდან, უცხოური/ადგილობრივი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან პროგრამის კოლეგიალური გარე შეფასება და ამ მიზნით წინასწარ განსაზღვრული ფორმის შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შეფასების მიზნით

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა **შპს შავის ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის** "ეკონომიკის" საბაკალავრო პროგრამისათვის 7 წლის ვადით, აკრედიტაციის მინიჭების საკითხი ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მესამე საკითხი:
აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. კერძოდ, 1.2 და 5.1 კომპონენტები ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია პირველი და მე-5 სტანდარტის შეფასების ცვლილება; 3.1 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეაფასა როგორც „შესაბამისია მოთხოვნებთან“. აღნიშნულმა ცვლილებამ გამოიწვია მე-3 სტანდარტის შეფასების ცვლილება და შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები. საბოლოო სახით კი ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:

1. რეკომენდებულია გადაიხედოს ცალკეული სასწავლო კურსების ადგილი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში და ჩასწორდეს ხარვეზები კურიკულუმის რუკაში.
2. ბიბლიოთეკამ უნდა უზრუნველყოს სავალდებულო ლიტერატურის ადგილზე არსებობა;
3. მიზანშეწონილია სისტემატურად ხდებოდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის განახლება/შევსება სწავლების შესაბამის ენაზე.
4. საჭიროა სასწავლო კურსებში ინტეგრირებული იყოს უახლესი ინფორმაცია თანამედროვე ეკონომიკის აქტუალურ პრობლემებზე.
5. რეკომენდებულია სავალდებულო სასწავლო კურსი „ ფსიქოლოგიის საფუძვლები“ შინაარსი, სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სწავლის შედეგებთან.
6. აუცილებელია პრაქტიკა/ სტაჟირების პროფილური გაძლიერება, რათა პროგრამის კურსდამთავრებულთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარება მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი იყოს.
7. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები რიგი სასწავლო კურსების პროგრამის სწავლის შედგებთან შესაბამისობის მიზნით.

რჩევები:

1. ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები სასურველია იმავდროულად აისახოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, სადაც ამჟამად 2018 წლით დათარიღებული ინგლისურენოვანი პროგრამაა წარმოდგენილი;
2. სასურველია, რომ პროგრამის ფარგლებში მეტად გაიმიჯნოს ეკონომიკის და ბიზნესის საგნები და ეს უკანასკნელი თავისუფალი კომპონენტის/ არჩევითი კურსების ბლოკში გადავიდეს.
3. სწავლის შედეგებთან სასწავლო კურსების შინაარსობრივი შესაბამისობის გაძლიერების მიზნით სასურველია ცალკეული არჩევითი საგნების გადანაცვლება სავალდებულო სასწავლო კურსების კომპონენტში (მაგალითად, შრომის ეკონომიკა, ქცევითი ეკონომიკის შესავალი, მაკროეკონომიკური დიაგნოსტიკა, ინოვაციური ეკონომიკა და სხვა.);
4. გასასწორებელია ტექნიკური ხარვეზები იქ, სადაც ერთიდაიგივე საგანი სხვადასხვა სიტყვებით არის ფორმულირებული;
5. სასურველია პროგრამის სასწავლო გეგმის სტრუქტურის დალაგება სწავლის სფეროების კლასიფიკატორში მოცემული სქემის მიხედვით - სწავლების ძირითადი სფეროს და თავისუფალი კომპონენტები, სავალდებულო და არჩევითი კურსების ქვეკატეგორიები.
6. სასურველია გაფართოვდეს საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები ნამუშევრების ხარისხის შემდგომი ამაღლების მიზნით
7. სასურველია, პერსონალი და სტუდენტები მეტად იყვნენ ინფორმირებული პროგრამაზე, რომელიც პლაგიატზე ნაშრომების შემოწმების შესაძლებლობას იძლევა;
8. სასურველია კარიერული სამსახურის გააქტიურება სტუნდენტთა დასაქმების მიზნით კვალიფიკაციის შესაბამისად; კერძოდ, ადმინისტრაციის მხრიდან გააქტიურდეს

შეხვედრა/სემინარების ორგანიზება პოტენციურ დამსაქმებლებთან სტუდენტების ჩართულობით.

9. სასურველია, დაწესებულებამ/ფაკულტეტმა პროგრამის ფარგლებში ხელი შეუწყოს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო კონფერენციებში.
10. სასურველია ბიუჯეტის უფრო გასაგები ფორმატით ფორმირება და საბიუჯეტო პოლიტიკის დოკუმენტის შექმნა.
11. სასურველია ერთ დოკუმენტში იყოს წარმოდგენილი ხარჯები და მათი დაფარვის წყაროები.
12. დაწესებულებამ უზრუნველყოს დარგის სპეციალისტებიდან, უცხოური/ადგილობრივი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან პროგრამის კოლეგიალური გარე შეფასება და ამ მიზნით წინასწარ განსაზღვრული ფორმის შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შეფასების მიზნით

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპსშავის ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამისათვის 7 წლის ვადით, აკრედიტაციის მინიჭების საკითხი ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მეოთხე საკითხი: სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „მასობრივი კომუნიკაციის (მულტიმედიური და კულტურის ჟურნალისტიკა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასობრივი კომუნიკაცია (მულტიმედიური და კულტურის ჟურნალისტიკა)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4		25.11.2011, #12

	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება # 338
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	მასობრივი კომუნიკაცია (მულტიმედიური და კულტურის ჟურნალისტიკა)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	საბაკალავრო
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	6
9	კვალიფიკაციის დასახელება	მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, რუსთაველის #19, 0108, საქართველო თბილისი, აღმაშენებლის #40, 0102, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

მეხუთე საკითხი: სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „არტჟურნალისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	არტჟურნალისტიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	02.08.2012, #9 გად. # 284
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ტელემედია - თეორია და პრაქტიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	სამაგისტრო
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	7
9	კვალიფიკაციის დასახელება	მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-

11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, რუსთაველის #19, 0108, საქართველო თბილისი, აღმაშენებლის #40, 0102, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ „მასობრივი კომუნიკაციის“ საბაკლავრო პროგრამა მიეკუთვნებოდა, ჟურნალისტიკის დარგობრივი პროგრამების კატეგორიას და ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოადგენდა ინსტიტუციას, რომელსაც ჰქონდა პოტენცია, გამოცდილება და საფუძველი იმისათვის, რომ მოამზადოს კულტურის და ხელოვნების დარგში დახელოვნებული ჟურნალისტები. აღნიშნული პროგრამის მიზანია მოამზადოს კულტურის ჟურნალისტიკის კვალიფიციური სპეციალისტი, რომელსაც ექნება როგორც დარგობრივი/პროფესიული, ისე ზოგადი კომპეტენციები. პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელია (8 სემესტრი) და მოიცავს 240 კრედიტს.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. (2.2) დისციპლინის - მედიასამართალი, მედია ეთიკა და თვითრეგულირება - მეშვიდე სემესტრში სწავლება დაგვიანებულია, რადგან მეორე სემესტრიდან პრაქტიკული საგნების ფარგლებში მედია პროდუქტის შექმნისას აუცილებელი იქნება მედიაეთიკისა და მედიასამართლის რეგულაციების ცოდნა და გამოყენება, შესაბამისად რეკომენდებულია აღნიშნული დისციპლინების მეორე ან მესამე სასწავლო სემესტრში გადმოტანა.

2. (2.2) ვინაიდან პროგრამაში გათვალისწინებულია თეორიული საკვალიფიკაციო ნაშრომის შესრულება, სასურველია, მეტი ყურადღება მიექცეს საბაკალავრო საფეხურის შესაბამისი თემატიკით -მედიის კვლევის მეთოდების- შესწავლას, რაც სტუდენტს საკვალიფიკაციო ნაშრომის შესრულებისას გამოადგება.
3. (2.3) პროგრამის დარგობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე რეკომენდირებულია კულტურის და ხელოვნების სფეროს ჟურნალისტს ჰქონდეს ცოდნა კულტურის პოლიტიკის მიმართულებით, იცოდეს კულტურის სფეროს ადგილობრივი და საერთაშორისო საკანონმდებლო ჩარჩო და ინსტიტუციური მოწყობის პრინციპი. ადგილბრივი გამოწვევები და საერთაშორისო ვალდებულებები. ასევე რეკომენდირებულია, ჟურნალისტი განასხვავებდეს კულტურის მართვის და მოწყობის დემოკრატიულ და ტოტალიტარულ მოდელებს.
4. (2.6) რეკომენდებულია, სასწავლო კურსით გათვალისწინებული სილაბუსებში უზრუნველყოფილი იქნეს თითოეული სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასება, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით, სასწავლო კურსის სილაბუსებში, ინფორმაცია შეფასების სისტემის, ფორმების, კომპონენტებისა და მეთოდების შესახებ უნდა იყოს მეტად დაზუსტებული, კონკრეტული ლექცია/სემინარის დღეს - გამოქვეყნებული და წინასწარ ცნობილი სტუდენტებისთვის. სასწავლო კურსის სილაბუსებით, სტუდენტის ცოდნის შეფასებისას აუცილებელია გამოიყენებოდეს შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის წინასწარ ინფორმირებულობას შეფასების მექანიზმებისა და კრიტერიუმების შესახებ.
5. (4.3) რეკომენდებულია, პროგრამით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებისთვის - უსდ-მ უზრუნველჰყოს ბიბლიოთეკაში, პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურის დროული ხელმისაწვდომობა და ელექტრონული ბაზის მოწესრიგება.
6. (5.1) რეკომენდირებულია უზრუნველყოფილ იქნას სააკრედიტაციოდ წარდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობა და უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ბაზაში ან/და ბიბლიოთეკაში პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების მასალების ხელმისაწვდომობის საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა, გიორგი ჩართოლანმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფთან თანამშრომლობა იყო ნაყოფიერი, რაც იყო ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამის განვითარებისათვის. პირველ და მეორე რეკომენდაციასთან დაკავშრებით, პროგრამის ხელმძღვანელის თქმით, მნიშვნელოვანი იყო კვლევის მეთოდების შესწავლა, მაგრამ მათი პროგრამა, ძირითადად ორიენტირებული იყო სტუდენტთათვის პრაქტიკული გამოცდილების მიცემაზე. აქედან გამომდინარე, საკვალიფიკაციო ნაშრომი შედგებოდა თეორიული და პრაქტიკული ნაწილისაგან. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, რეკომენდაციაზე უარს არ ამბობდნენ, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ სწავლების პირველ საფეხურზე, კვლევა იყო კონკრეტული საგნის ჩაშენებული ნაწილი, მისი აზრით, უმჯობესი იქნებოდა, რომ სწავლების პირველ საფეხურზე კვლევის კომპონენტის სახელწოდება წარმოედგინათ, როგორც ზოგადად მეცნიერული კვლევის მეთოდები, მაგალითად სოციალური მეცნიერების კვლევის მეთოდები და არ ეთანხმებოდნენ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას, მედიის კვლევის მეთოდების სახელწოდებით მის წარმოდგენაზე. მისი განმარტებით, აღნიშნული საგანი მათ უნივერსიტეტში მაგისტრატურის საფეხურზე ვრცლად ისწავლებოდა და წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდებოდა ერთი და იმავე სახელწოდების საგნის სწავლება სხვადასხვა საფეხურზე. დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ასევე მედია ეთიკის, თვითრეგულირებისა და მედია სამართლის საგანთან დაკავშირებით არსებულ

რეკომენდაციაზე და აღნიშნული საგნის მე-7 სემესტრის ნაცვლად, პირველ-მეორე სემესტრში სწავლებასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ ჟურნალისტიკის საფუძვლების საგანი, რომელიც პირველ სემესტრში ისწავლებოდა, მოიცავდა სწორედ იმ საბაზისო ცოდნას, რომლის მიხედვითაც სტუდენტი ეცნობოდა იმ ძირითად პოსტულატებს, რომლებზეც იყო ჟურნალისტიკა დაფუძნებული. ამასთან დაკავშირებით, თეორიულთან ერთად, არსებობდა ასევე პრაქტიკული კურსებიც, რომლებიც მოიცავდა მიუკერძოებლობის, დამოუკიდებლობისა და ყველა სხვა, მნიშვნელოვან და ძირითად საკითხებს. ხოლო, სრული სახით, იურიდიული ნორმატივები და თეორიული საკითხები ისწავლებოდა უფრო მაღალ ეტაპზე, რადგან, ამ დროისათვის, სტუდენტი უკვე შემზადებული იყო, ჰქონდა პრაქტიკული და თეორიული ცოდნაც იმისათვის, რომ საკვალიფიკაციო ნაშრომისათვის უფრო კარგად მომზადებულიყო. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, აღნიშნული საკითხის ამგვარად გადაწყვეტასა და ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, მან, მის კოლეგებთან ერთად გაიარა რეკომენდაციები ევროპის მაუწყებელთა კავშირის ჟურნალისტური აკადემიის პროფესორებთან და შეთანხმდნენ, თუ რა ესწავლებინათ საფუძვლებში და რა - შემდგომ, უფრო მაღალ ეტაპზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, რეზო ჭიჭინაძემ დაამატა და აღნიშნა, რომ ეტაპობრივად რთულდებოდა პრაქტიკული სწავლება სტუდენტებისათვის. პირველ სემესტრში ასრულებდნენ შედარებით მარტივ პრაქტიკულ დავალებებს, ხოლო სემესტრების ზრდასთან ერთად მათი პრაქტიკული დავალებებიც რთულდებოდა. მისი განმარტებით, როდესაც აღნიშნული საკითხის ირგვლივ კომუნიკაცია ჰქონდათ ევროპის მაუწყებელთა კავშირთან, მათ აღნიშნეს, რომ უმჯობესი იყო, ზემოთ აღნიშნული საგნის სწავლება ბოლო სემესტრებისკენ, ვიდრე პირველივე სემესტრებში, რაც სტუდენტებს დატვირთავდა საწყის ეტაპზე.

პროგრამის ხელმძღვანელმა, გიორგი ჩართოლანმა ისაუბრა რეკომენდაციაზე, რომელიც შეეხებოდა ჟურნალისტის მიერ, დარგობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, კულტურისა და პოლიტიკის მიმართულებით ცოდნას. მან აღნიშნა, რომ იზიარებდა აღნიშნულ რეკომენდაციას და ფაკულტეტმა უკვე მიიღო გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც, ფაკულტეტის კულტურის მენეჯმენტის მიმართულების წარმომადგენლებს დაევალათ აღნიშნული ტიპის პროგრამის შემუშავება, რომელიც შევიდოდა არა მხოლოდ ჟურნალისტიკის, არამედ მთელი ფაკულტეტის სასწავლო პროგრამის სხვადასხვა მიმართულებით. ეს იქნებოდა არჩევით საგანი, რომლის არჩევაც შეეძლებოდა ნებისმიერ სტუდენტს. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა სასწავლო კურსების მიზნებისა და საჭიროებების შეფასებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე და აღნიშნა, რომ მათი პროგრამა ხელმძღვანელობდა იმ საერთო რეგულაციებით, რომელიც უნივერსიტეტს გააჩნდა და იმ ნორმატიული აქტებით, რომლითაც მათი ყველა მიმართულება და სილაბუსი იგებოდა. მათ იმოქმედეს იმ რეგულაციების მიხედვით, რომელიც მათსავე უნივერსიტეტს ჰქონდა შემუშავებული. დაწესებულების წარმომადგენელმა, სასწავლო მასალებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამა სრულად მოდერნიზებული იყო, აქედან გამომდინარე არსებობდა სასწავლო მასალების განახლების აუცილებლობაც, რის შედეგადაც, ბიბლიოთეკამ შეისყიდა უცხო ენოვანი ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწილი და დანარჩენის შესყიდვა მიმდინარეობდა, ხოლო ქართულ ლიტერატურასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ქართული წიგნებისა და სახელმძღვანელოების დიდი ნაწილი გაყიდვაში არ იყო. აქედან გამომდინარე, ისინი გეგმავდნენ ეხელმძღვანელათ იმ საბიბლიოთეკო ბაზით, რომელიც არსებობდა, გამოიყენებდნენ მას და მათ შორის ელექტრონულ რესურსებსაც. რაც შეეხებოდა ქართულ ლიტერატურას - ელექტრონული სახით ტვირთავდნენ, სასწავლო დაწესებულების ვებ-გვერზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნატო გენგიურმა ისაუბრა მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმების დაწვრილებით ჩაშლას შეეხებოდა და განამრტა, რომ თუ როგორ ნაწილდებოდა სემესტრის განმავლობაში 100 ქულიანი სისტემა, გაწერილი იყო სილაბუსში, მეორე ნაწილი კი, რომელიც გულისხმობდა, თუ თითოეულ კომპონენტში, მაგალითად სემინარში, რეფერატში, როგორ ფასდებოდა და რაში რამდენი ქულა იწერებოდა - გაწერილი იყო ცალკე დოკუმენტშ, რომელიც ხელმისაწვდომი იყო

დაწესებულების ვებ-გვერდზე. აღნიშნულის ცალკე დოკუმენტში წარმოდგენა განპირობებული იყო იმით, რომ დაწესებულების წარმომადგენელთა აზრით, შეფასების კრიტერიუმების დაწვრილებითი ჩაშლის სილაბუსში წარმოდგენა ამძიმებდა მას და სწორედ აქედან გამომდინარე შეადგინეს მათ ცალკე დოკუმენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაღანიძემ შეკითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ როგორ უზრუნველყოფდნენ, საბაკალავრო პროგრამის სათაურის შენაარსთან თავსებადობას. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას რჩევის სახით ჰქონდა, რაიმე მსგავსი საგანი შეეტანათ კურიკულუმი, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლებმა თანხმობა განაცხადეს და რა ჰქონდათ მიმდინარე დროისათვის პროგრამაში, რაც კულტურის ჟურნალისტის სტატუსს გაამყარებდა. საბჭოს წევრმა რეპლიკის სახით აღნიშნა კვლევის მეთოდების შესახებ და აღნიშნა, რომ კვლევის მეთოდების ცალკე სასწავლო კურსი არ ჰქონდა დაწესებულებას, თუმცა ასწავლიდა აკადემიურ წერას და მედია პროდუსირებასთან დაკავშირებულ საგანს, რომელიც ასევე მოიცავდა აღნიშნულ საკითხებს. დაწესებულება წინააღმდეგი არ იყო მსგავსი საგანი დაემატებინათ, მაგრამ, რადგანაც ეს საგანი ისწავლებოდა მაგისტრატურის საფეხურზე, ეს ყოფილიყო არა მედიის კვლევის მეთოდების, არამედ უფრო სოციოლოგიური კვლევის მეთოდების სახით. საბჭოს წევრა კიდევ ერთი გზა შესთავაზა დაწესებულების წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ დაწესებულების საბაკალავრო ნაშრომები მოიცავდა თეორიასაც და პრაქტიკასაც, შესაძლებელი იყო მხოლოდ პრაქტიკული ნაწილის დატოვებაც, იმისათვის, რომ არ „დაენგრიათ“ კარგად ნაფიქრი და შედგენილი კურიკულუმი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი ჩართოლანმა უპასუხა საბჭოს წევრის შეკითხვას და აღნიშნა, რომ უმნიშვნელოვანესი იყო სწორედ ის, რომ ყველა ძირითადი დისციპლინა, რომელიც ისწავლებოდა დაწესებულების საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის მიხედვით, მოიცავდა კულტიურისა და ხელოვნების საკითხებს, მათ შორის, იყო „კულტურა სამაუწყებლო მედიაში“, „კულტურა ახალ მედიაში“. ისინი ყველა იმ დისციპლინას ასწავლიდნენ, რომელიც გათვალისწინებული იყო კულტურისა და ხელოვნების კარგად შესწავლისათვის, მათ შორის იყო თეატრის, კინოს, ლიტერატურის, მუსიკის, სახვითი ხელოვნების და ყველა სხვა სახელოვნებო დარგის ისტორიის, თანამედროვეობის შესწავლისათვის. კურიკულუმი აგებული იყო ისე, რომ ნებისმიერი პრაქტიკული სამუშაო მოიცავდა მხოლოდდამხოლოდ კულტურის თემატიკაზე შექმნილ პროდუქტებს, ძირითადად ეს ხდებოდა მე-2, მე-3 კურსებზე. საკვალიფიკაციო ნაშრომიც სწორედ ასეთი ტიპის ნაშრომს მოიცავდა. უნივერსიტეტის უნიკალურობა იმაში იყო, რომ სტუდენტებს ეძლეოდათ ერთობლივი პროდუქტების შექმნის შესაძლებლობა ტელერეჟისორებთან, ტელეოპერატორებთან, ხმის რეჟისორებთან და ასე შემდეგ, რომლებიც ამ მიმართლებით მუშაობდნენ. საკვალიფიკაციო, საკურსო ნაშრომები აღნიშნული ერთობლივი მუშაობის შედეგად იქმნებოდა, ამიტომ, დაწესებულების პროგრამის კურიკულუმში გაწერილი იყო, რომ სტუდენტები იღებდნენ სიღრმისეულ ცოდნას კულტურისა და ხელოვნების საკითხების მიმართულებით. დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა საბჭოს წევრის შემოთავაზებაზე, რომ საკვალიფიკაციო ნაშრომში მხოლოდ პრაქტიკული ნამუშევარი გაეთვალისწინებინათ, მაგრამ მათი საკვალიფიკაციო ნაშრომის თეორიული ნაწილი შეიცავდა კვლევას, მაგრამ უმეტესად ის შეეხებოდა იმ საკითხს, თუ როგორ მიმდინარეობდა და როგორ ხდებოდა პრაქტიკული ნაშრომისათვის მზადება, რა მასალა მოიპოვეს, როგორ დაამუშავეს, ვისთან ჰქონდათ კომუნიკაცია. ეს ემსახურებოდა იმ მიზანს, რომ დაწესებულების წარმომადგენლებს ერთის მხრივ დაენახათ, როგორ შეეძლო სტუდენტს პრაქტიკული აუდიო-ვიზუალური ნაწარმოების შექმნა და მეორეს მხრივ, როგორ შეეძლო ამის დაგეგმვა და მომზადება. ეს არ იყო წმინდა კვლევითი ნაშრომი, როგორც ამას წმინდა თეორეტიკოსები აკეთებდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ, შეკითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეზუსტებინათ 2.3 სტანდარტში წარმოდგენილი რჩევა, რომელშიც საუბარი იყო ერთგვარ დისბალანსზე თეატრის ისტორიისა და სპეციფიკის სწავლებას და სხვა სახელოვნებო დარგების სწავლებას შორის.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა მედია სამართლისა და მედია ეთიკის კურსის შესახებ. მან აღნიშნა, რომ საბაზისო დონეზე, შესავალის სახით ყოველთვის ისწავლებოდა მედია ეთიკის და სამართლებრივი რეგულირების საკითხები, მაგრამ, რადგან მსოფლიოს მაშტაბით, ჟურნალისტიკის დარგში ეთიკური ნაწილი ძალიან მნიშვნელოვანი გახდა, უმჯობესი იქნებოდა, რომ საბაზისო საგანი ყოფილიყო მედია ეთიკა და მედია სამართალი, რომელზე დაყრდნობითაც, სტუდენტები შეძლებდნენ მათ თეორიული და პრაქტიკული საგნების შესწავლას. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ რადგან საკვალიფიკაციო ნაშრომი პრაქტიკულთან ერთად შეიცავდა თეორიულ ნაწილს, კარგი იქნებოდა, თუ სტუდენტებს ექნებოდათ ბაკალავრიატის დონისათვის შესაბამისი კვლევის საბაზისო საკითხების ცოდნა, რაც მათ დაეხმარებოდათ კვლევის უფრო პროფესიონალურად ჩატარებაში, რაც ასევე შექმნიდა მომავალ საფეხურზე სწავლის გაგრძელებისათვის. მისი თქმით, ეთანხმებოდა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ საგნის დუბლირება თავიდან უნდა აერიდებინათ, მაგრამ გულისხმობდა კვლევის მეთოდების საბაზისო ნაწილს და შესაძლებელი იყო სათაურის სახელწოდება სხვაგვარი ყოფილიყო. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიესალმებოდა დაწესებულების პოზიციას იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ისინი კულტურის პოლიტიკის არჩევით საგნად დამატებას ეთანხმებოდნენ და გეგმავდნენ. ლიტერატურასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს იმყოფებოდნენ უნივერსიტეტის პირველ და მეორე კორპუსში, სადაც ლიტერატურით ბაზის შევსება მიმდინარეობდა, რისი თვითმხილველიც თავად გახდნენ. 2.3 სტანდარტთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უპასუხა საბჭოს თავმჯდომარის შეკითხვას და აღნიშნა, რომ სტუდენტებს ჰქონდათ ძალიან დიდი არჩევანი სახელოვნებო და კულტურის სფეროს დისციპლინებიდან, რაც ბუნებრივიც იყო, რადგან თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში არსებობდა ამის პოტენციალი და შესაძლებლობა. მისი თქმით, აქ საუბარი იყო იმაზე, რომ ეს ყველაფერი თანაბრად ყოფილიყო მიწოდებული. მაგალითად, იყო თეატრის ისტორია და თანამედროვეობა, ხოლო მისი აზრით უმჯობესი იქნებოდა შემდეგ ნაირად - თეატრის ისტორია და ქართული თეატრი, რომ ეს ბალანსი დაცული ყოფილიყო ყველა საგანში.
საბჭოს თავმჯდომარის შეკითხვაზე, თუ რომელ სასწავლო კურსებს ეხებოდა აღნიშნული ბალანსის დაცვა, ექსპერტტა ჯგუფის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ საუბარი იყო არჩევით დისციპლინებზე.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. (2.6) რეკომენდებულია, სასწავლო კურსით გათვალისწინებული სილაბუსებში უზრუნველჰყოფილი იქნეს თითოეული სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასება, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით, სასწავლო კურსის სილაბუსებში, ინფორმაცია შეფასების სისტემის, ფორმების, კომპონენტებისა და მეთოდების შესახებ უნდა იყოს მეტად დაზუსტებული, კონკრეტული ლექცია/სემინარის დღეს - გამოქვეყნებული და წინასწარ ცნობილი სტუდენტებისთვის. სასწავლო კურსის სილაბუსებით, სტუდენტის ცოდნის

შეფასებისას აუცილებელია გამოიყენეოდეს შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის წინასწარ ინფორმირებულობას შეფასების მექანიზმებისა და კრიტერიუმების შესახებ.

2. (3.1) სამაგისტრო პროგრამის განხორციელების მიზნების გათვალისწინებით, რეკომენდებულია, დაწესებულების მიერ განხორციელდეს სტუდენტთა სრულყოფილი ინფორმირება სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით.
3. (4.3) საბიბლიოთეკო ბაზა შეივსოს სავალდებულო ლიტერატურის ნუსხაში მითითებული სახელმძღვანელოების ბეჭდური ვერსიით. პრობლემა აღმოიფხვრას უნივერსიტეტის ელექტრონული ბიბლიოთეკის ბაზაშიც.
4. (5.1) რეკომენდირებულია უზრუნველყოფილ იქნას სააკრედიტაციოდ წარდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობა, სილაბუსებში ტექნიკური ხარვეზების გასწორება და უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ბაზაში ან/და ბიბლიოთეკაში პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების მასალების ხელმისაწვდომობის საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი ჩართოლანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა იყო ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან თანამედროვე ჟურნალისტიკა და დარგობრივი ჟურნალისტიკის განვითარება, ერთ-ერთი პრიორიტეტი იყო და განსაკუთრებით, კულტურის სფეროში. პროგრამა ორ მიმართულებას მოიცავდა, არტ ჟურნალისტები, მკვლევარები და არტ კრიტიკოსები. თანამედროვე არტ ჯურნალისტიკა არტ კრიტიკასაც ითავსებდა და ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ ამ პრორგამის ფარგლებში სტუდენტებს ამ მიმართულების არჩევაც შეეძლოთ. თანამედროვე კრიტიკა აღარ იყო ისეთი, როგორიც ეს 30 და 20 წლის წინ. პროგრამა აბსოლიტურად მისადაგებული იყო მულტიმედიურ გარემოსთან და თანამედროვე ვებ სივრცესთან. ამგვარად იყო აგებული პროგრამა და სილაბუსები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს და დაზუსტება სთხოვა 2.1 ქვესტანდარტში, მოცემულ მეორე რჩევაზე, რომელიც პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით ერთი კონკრეტული ენის განსაზღვრას შეეხებოდა, რაც განაპირობებდა დარგის შესაბამისი ლიტერატურის სრულყოფილად შეთავაზებას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უპასუხა და აღნიშნა, რომ შეთავაზებული იყო რამდენიმე უცხო ენა, ფრანგული, ინგლისური, რუსული, გერმანული. მისი თქმით, როდესაც სტუდენტი აბარებდა ერთ უცხო ენას, და ძირითადად ეს იყო ინგლისური ენა, რადგან ინგლისურ ენაზე უფრო მეტად იყო ხელმისაწვდომი ლიტერატურა, უმჯობესი იქნებოდა, რომ ერთ ენაზე ყოფილიყო ლიტერატურა მიწოდებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, სილაბუსშიც უთითებდნენ ძირითად ლიტერატურას და დაწესებულებას მოუხევდა, რომ ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ, გერმანულ ენებზე მიეწოდებინათ ლიტერატურა, რაც ალბათ პრობლემას შექმნიდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი ჩართოლანმა უპასუხა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის პოზიციას და აღნიშნა, რომ მათ გაიზიარეს ექსპერტთა ჯგუფის ეს რჩევა. მან აღნიშნა, რომ მოცემული დათქმა თავის დროზე იმიტომ აღმოჩნდა პროგრამაში, რომ მიღების წინაპირობები აღნიშნული სახით უნდა ყოფილიყო ყველა პროგრამისათვის, რაც გამომდინარეობდა ზოგადად უნივერსიტეტის დებულებიდან. ოთხი უცხო ენის მიღების წინაპირობებში აღმოჩენა განაპირობა ასევე იმ საკითხმა, რომ საბაკალავრო დონეზე, აპლიკანტების მხრიდან არსებობდა სხვადასხვა უცხო ენის ცოდნა და დაწესებულების წარმომადგენლებს რომ არ შეეზღუდათ აპლიკანტები და ეს კონტინგენტი არ დაეკარგათ, დაშვების წინაპირობებში შეიტანეს მოცემული ოთხი უცხო ენა. თუმცა, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ის ეთანხმებოდა წარმოდგენილ რჩევას და უნივერსიტეტის წარმომადგენლები გეგმავდნენ, რომ მიღების წინაპირობად განესაზღვრათ ერთი უცხო ენა.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ შეკითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ რამდენად იყო ევროპის მაუწყებელთა ასოციაციის, რომლის ტრენერებიც დაწესებულების წარმომადგენლებიც იყვნენ, ტრენინგები, წვრთნები, ახერხებდნენ თუ არა, რომ მათი სტუდენტებისთვის ლექციები ჩაეტარებინათ.
დაწესებულების წარმომადგენელმა, რეზო ჭიჭინაძემ უპასუხა საბჭოს წევრის შეკითხვას და აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოთ აღნიშნული ხელმისაწვდომი იყო სტუდენტებისათვის და მოკლე ხნის წინ, საზოგადოებრივ მაუჭყებელზე ტარდებოდა ტრენინგები, რომელშიც დაწესებულების სტუდენტები მონაწილეობდნენ, დასრულდა ერთი ეტაპი და მოჰყვებოდა მეორეც. თავად და გიორგი ჩართოლანი იყვნენ ევროპის მაუწყებელთა ასოციაციის სერტიფიცირებული ტრენერები და ტრენინგებს ატარებდნენ, როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ. სტუდენტებს ხელი მიუწვდებოდათ ევროპის მაუწყებელთა კავშირის ბაზებზე. დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა და ბიბლიოთეკის საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამების მოდიფიცირება ფოკუსირებული იყო ძალიან ახალ და თანამედროვე ლიტერატურაზე.
დაწესებულების წარმომადგენელემა, გიორგი ჩართოლანმა ასევე დაამატა და უპასუხა საბჭოს წევრის შეკითხვას. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს მემორანდუმი ჰქონდა გაფორმებული საზოგადოებრივ მაუწყებელთან. ევროპის მაუწყებელთა კავშირმა პირველად დაუშვა გამონაკლისი და სტუდენტებსაც მისცა ტრენინგების გავლის შესაძლებლობა და არა მხოლოდ ჟურნალისტებს.
საბჭოს თავმჯდომარემ შეკითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს და აღნიშნა, რომ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გაეცნო ორ სამაგისტრო ნაშრომს და გაფორმების წესი ორივე ნაშრომში შესამჩნევად არათანაბარი და ხარვეზული ჩანდა. როგორ შეფასებდა სამაგისტრო ნაშრომების შინაარსობრივ ნაწილს, გაფორმების წესებს, გამოყენებული ლიტერატურის ხარისხს, პლაგიატის შემოწმების მექანიზმს.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უპასუხა დასმულ შეკითხვას და აღნიშნა, რომ გაეცნენ ნაშრომებს და როგორც თემატიკის და კვლევის თვალსაზრისით აკმაყოფილებდა სამაგისტრო ნაშრომისათვის წაყენებულ მოთხოვნებს, ხოლო რაც შეეხებოდა გაფორმებას, ხარისხის სამსახურს შემუშავებული ჰქონდა სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესი. მისი განმარტებით ნაშრომები შეფასებული იყო შესრულების შესაბამისად და დარღვევა არ ყოფილა.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:15
დასრულების დრო: 20:13

საბჭო დაბრუნდა სათათბირო შესევენებიდან, რამდენიმე კითხვის დასაზუსტებლად.

საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ კომპონენტთან დაკავშირებით, როგორიც იყო რეფერატის მომზადება უცხოენოვანი ლიტერატურის მიხედვი, აღნიშნა, რომ შესაბამისი სილაბუსი არ მოიძებნა, თუმცა შესაძლოა ის არ ყოფილიყო სილაბუსის სახით წარმოდგენილი. საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ როგორ გამოიყურებოდა მინიმალური სტანდარტი და რა მოთხოვნები იყო სტუდენტის მიმართ წაყენებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნანა დოლიძემ განმარტა, რომ ეს იყო უცხოენოვანი ლიტერატურის. მისი თქმით ყოველ ეტაპზე ხდებოდა ახალი კვლევების გამოქვეყნება მედიის მიმართულებით და გარკვეულწილად, მაგისტრანტს ჰქონდა საშუალება რეფერატის მომზადებისას უფრო ცნობადი ყოფილიყო მისთის, მედიის სფეროში მიმდინარე უახლესი კვლევები. აღნიშნული კომპონენტი, აძლევს სტუდენტს საშუალებას სამეცნიერო ლიტერატურასთან ურთიერთობა უფრო სიღრმისეული გახადოს, გამოიმუშავოს დამატებითი კვლევის შესაძლებლობები და გაზარდოს მისი თვალსაწიერი. დაწესებულების

წარმომადგენლის თქმით, ეს იყო ერთ-ერთი სავალდებულო საგანი, რომელსაც მაგისტრატურის საფეხურზე გადის მაგისტრანტი.
დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი ჩართოლანმა განმარტა, რომ ეს იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რათა სტუდენტი მაქსიმალურად იყოს ჩართული საერთაშორისო კვლევებთან მომართებაში, რომელიც კონკრეტულად სამაგისტრო პროგრამსი ირგვლივ არსებულ პუბლიკაციებს ეხებოდა. აღნიშნულ შემთვევაშ, შეთავაზება აქვს მაგისტრანტს, რომ მან მოიძოს უახლესი ლიტერატურა, რომელსაც იგი დაამუშავებს. შეთავაზება, გამომდინარეობს მაგისტრანტის მომავალი ნაშრომიდან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, სამაგისტრო ნაშრომთან ან სავარაუდო თემასთან მიმართებაში, მან შეისწავლოს კიდევ უფრო მეტი არსებული ლიტერატურა. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, რეფერატის ფორმატი, იმიტომ იყო აუცილებელი, რომ მან მოახდინოს ლიტერატურის ანალიზი შემდგომში საკვალიფიკაციო ნაშრომის წერის პროცესში. რეფერატი, აჩვევს სტუდენტს, წყაროებთან, პუბლიკაცებთან მუშაობას და ასევე, ამ მასალაზე დაყრდნობით რეფერატის ფორმატის სამუშაოს შექმნას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტის დროსაც შეეხო აღნიშნულ საკითხს და ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო საკვალიფიკაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში. აღნიშნული კომპონენტი ნიშნავს, ლიტერატურის კიდევ უფრო სიღრმისეულად შესწავლას და ასევე უცხოენოვან ლიტერატურაზე არის აქცენტი გაკეთებული. ექსპერტის თქმით, სილაბუსი არ იყო გაწერილი, რადგან ჰქონდა რეფერატის სახე და დაცვის სახით იქნებოდა წარმოდგენილი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, სად იყო განსაზღვრული რეფერატის შეფასების კრიტერიუმები და შეფასების სიტემა, რადგან მისი განმარტებით, მათ ვერ ნახეს სილაბუსი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნატო გენგიურმა განმარტა, რომ შეფასების სისტემა გაწერილი იყო წესში, რომელიც შეეხებოდა თეორიული კურსების შეფასებას. მისი თქმით, სამაგისტრო საფეხურზე პირველივე სემესტრში ხდებოდა უცხოენოვან ლიტერატურაზე მუშაობა. ამასთან დაკავშიირებით, პროგრამის წარმომადგენლებს შორის იყო განხილვა, სილაბუსის სახე ჰქონოდა თუ რეფერატის შეფასების. სილაბუსის ფორმა არ მიეცა, რადგან რეფერატი ინდივიდუალურია ყველა სტუდენტისათვის. არ არის ლიტერატურის ნუსხა, რომელიც ყველა სტუდენტმა უნდა დაამუშაოს, არამედ ხელმძღვანელთან ერთად მოლაპარაკების საფუძველზე დგება თემატიკის შერჩევა, თუ რომელ წიგნს, თუ პუბლიკაციას აირჩევს სტუდნეტი.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ზოგიერთ სილაბუსში რეფერატი შემოატნილი იყო, როგორც ერთ-ერთი კომპონენტი. (მაგ: „მასობრივი კომუნიკაციის განვითარების ძირითადი ტენდენციები“) საბჭოს წევრი დაინტერესდა, ის რეფერატი, რომელიც რუბრიკაში იყო გაწერილი, წარმოადგენდა აღნიშნული კომპონენტის რეფერატს, თუ სხვა იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი ჩართოლანმა განმარტა, რომ ეს იყო სხვა რეფერატები.

საბჭოს თავმჯდომარემ, ასევე აღნიშნა, რომ რიგ სასწავლო კურსებში ძირითადი ლიტერატურა იყო მითითებული ინგლისურ ენოვანი. საბჭოს წევრი დიანტერესდა, თუ ჰყავდათ სტუდენტთა რაოდენობა, რომლებსაც ჰქონდათ სხვა უცხოენის ცოდნის კომპეტენცია და როგორ შეძლებდნენ ისინი მსგავსი სავალდებულ კურსების დაძლევას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, განმარტა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრული იყო რამდენიმე ენა, რაც გულისხმობდა მხოლოდ მისაღები გამოცდის ჩაბარებას, იმ შესაბამის ენაში, რომელი ენაც შესაძლოა უკეთ იცოოდა სტუდენტმა. თუმცა, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, უნივერსიტეტი თვლიდა, რომ რადგან ინგლისური ენა იყო საერთაშორისო აკადემიური ენა, ნებისმიერ ენის მცოდნე სტუდნეტმა, ინგლისურ ენაზე უნდა შეძლოს ლიტერატურის წაკითხვა, რადგან ნებისმიერი სხვა ევროპული ენის ცოდნის შემთვევაშიც, სამეცნიერო ცოდნის აპარატის წარმოდგენის ვალდებულება ყველას ჰქონდა ინგლისურ ენაზე (რეზიუმე, ანოტაცია). დაწესებულების წრამომადგენლის განმარტებით, ის საკითხი, რომ მაგისტრანტმა უნდა იცოდეს ინგლისური ენა, არ ყოფილა მოხსნილი დღისწესრიგიდან, თუმცა მისაღები გამოცდების კონტექსტში იყო შეთავაზებული სხვადასხა უცხო ენა.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ლაურა კუტუბიძემ განამარტა, რომ ნაშრომები, რომელსაც ეყრდნობა პროგრამა, ფაქტობრივად იყო ყველა ენაზე. თუკი მაგისტრანტმა, ინგლისური იცის ცუდად, თუმცა იცის უფრო კარგად სხვა უცხო ენა, მას შეუძლია სიღრმისეულად დაამუშაოს საკითხი მისთვის მისაღებ ენაზე. რეფერატის საგანთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა, განმარტა, რომ რეფერატის ფორმა მიღებული იყო ყველგან, თეორიული საგნების მომზადებისას. აღნიშნულ საგანში მისი თქმით რეფერატის მომზადება ფაქტობრივად ნიშნავდა, რეპეტიციის გავლას სამაგისტრო ნაშრომის მოსამზადებლად.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 20:30
დასრულების დრო: 20:52

მეოთხე საკითხი:
აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
საბჭომ სრულად გაიზიარა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნის შეფასება, თუმცა დააფორმულიდა შეცვალა მათ მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები. საბოლოო სახით კი ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:
1. დისციპლინის - მედიასამართალი, მედია ეთიკა და თვითრეგულირება - მეშვიდე სემესტრში სწავლება დაგვიანებულია, რადგან მეორე სემესტრიდან პრაქტიკული საგნების ფარგლებში მედია პროდუქტის შექმნისას აუცილებელი იქნება მედიაეთიკისა და მედიასამართლის რეგულაციების ცოდნა და გამოყენება, შესაბამისად რეკომენდებულია აღნიშნული დისციპლინების მეორე ან მესამე სასწავლო სემესტრში გადმოტანა
2. რეკომენდებულია პროგრამაში მედიის კვლევის მეთოდების საკითხების გათვალისწინება.
3. რეკომენდირებულია, პროგრამის დარგობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, კულტურის და ხელოვნების სფეროს ჟურნალისტს ჰქონდეს ცოდნა კულტურის პოლიტიკის მიმართულებით, იცოდეს კულტურის სფეროს ადგილობრივი და საერთაშორისო საკანონმდებლო ჩარჩო და ინსტიტუციური მოწყობის პრინციპი, ადგილობრივი გამოწვევები და საერთაშორისო ვალდებულებები.
4. რეკომენდებულია, რიგ სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების სისტემის, კომპონენტების მეთოდების დეტალიზაცია სწავლის შედგების გაზომვადობის უზრუნველსაყოფად.

5. რეკომენდებულია, პროგრამით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებისთვის - უსდ-მ უზრუნველჰყოს ბიბლიოთეკაში, პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურის დროული ხელმისაწვდომობა და ელექტრონული ბაზის მოწესრიგება;
6. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები პროგრამის განვითარების უზრუნველსაყოფად.

რჩევები:
1. სასურველია, ერთნაირი ყურადღება და, შესაბამისად, საათობრივი განაწილება ეთმობოდეს ხელოვნების სხვადასხვა დარგების სწავლებას და არ იყოს დისბალანსი თეატრის ისტორიისა და სპეციფიკის სწავლებასა და სხვა სახელოვნებო დარგების სწავლებას შორის. შესაბამისად, უნდა დაბალანსდეს დარგობრივი სილაბუსებისა და საათების გადანაწილება
2. დარგში მიმდინარე ტენდენციებისა და მიღწევების გასაცნობად, სასურველია, ლექტორებმა მოამზადონ რიდერები, რომლებიც დაეფუძნება უახლეს და მრავალფეროვან (მათ შორის უცხოენოვან) ლიტერატურას; სწავლების პროცესში ასევე, შესაძლებელია ინტერნეტრესურსებისა და ვიდეოლექციების გამოყენებაც.
3. სასურველია, დაწესებულების მიერ განხორციელდეს სტუდენტთა სრულყოფილი ინფორმირება სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით;
4. სტუდენტების და კურსდამთავრებულების კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ვინაიდან დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი რესურსი, სასურველია საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, პერიოდულად მოეწყოს შეხვედრები პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, როგორც პოტენციურ დამსაქმებლებთან, შეხვედრის ფარგლებში შესაძლებელია სტუდენტებთან, ასევე კურსდამთავრებულებთან დასაქმების ბაზრის საჭიროებების, განხილვა შესაბამისი საქმიანობის სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით;
5. სასურველია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გააღრმავოს თანამშრომლობა საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ასევე ფინანსური საკითხების მოგვარების მიზნით გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, მოიძიოს და მიაწოდოს სტუდენტს ყველა საჭირო ინფორმაცია, არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო სასტიპენდიო ფონდების შესახებ; გაუწიოს მხარდაჭერა საერთაშორისო სასტიპენდიო ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების მოპოვებაში; უკვე არსებული - "ერაზმუს +"-ის პროგრამის ფარგლებში, უზრუნველჰყოს სტუდენტების სათანადო კადრებად მომზადება, რათა მათ შეუფერხებლად შეეძლოთ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა და პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის გათვალისწინებული მიზნების მიღწევა წარმატებით განხორციელდეს.
6. სასურველია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გააუმჯობესოს საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობები, მათ შორის საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნების მაჩვენებელი

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „მასობრივი კომუნიკაციის (მულტიმედიური და კულტურის ჟურნალისტიკა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „მასობრივი კომუნიკაციის (მულტიმედიური და კულტურის ჟურნალისტიკა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მეხუთე საკითხი:
აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
საბჭომ სრულად გაიზიარა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნის შეფასება, თუმცა დააფორმულიდა შეცვალა მათ მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები. საბოლოო სახით კი ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:
რეკომენდაციები:

1. სამაგისტრო პროგრამის განხორციელების მიზნების გათვალისწინებით, რეკომენდებულია, დაწესებულების მიერ განხორციელდეს სტუდენტთა სრულყოფილი ინფორმირება სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით.
2. რეკომენდებულია საბიბლიოთეკო რესურსების უზრუნველყოფა პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო მასალით.
3. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები პროგრამის განვითარების უზრუნველსაყოფად.

რჩევები:

1. სასურველია, უდს-ს მიერ ინტერნაციონალიზაციისა და სტრატეგიულ პარტნიორთა წრის გაფართოების, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის ეფექტიანი წარმოება.
2. სასურველია, აპლიკანტმა წამოადგინოს ადრინდელი ნაშრომი/პროექტი/სტატია, რომელიც საუკეთესოდ ასახავს აკადემიური წერისთვის საჭირო კომპეტენციებს.
3. სასურველია, წარმოდგენილ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში განისაზღვროს ერთი კონკრეტული ენა, რაც განაპირობებს დარგის შესაბამისი ლიტერატურის სრულყოფილად შეთავაზებას.
4. სასურველია, არჩევითი საგნების ნაწილში, რომელიც სტუდენტს სთავაზობს სახელოვნებო დარგობრივ დისკურსებს, აქცენტი კეთდებოდეს საერთაშორისო თანამედროვე არტისტულ დარგობრივ პროცესებზე და არა მხოლოდ ადგილობრივ ქართულ ხელოვნებაზე.

5. სასურველია, ისტორიის თხრობის დროს, პარალელურად ყურადღება გამხვილდეს, თუ როგორ ეხმაურებოდნენ პუბლიცისტები და ჟურნალისტები მიმდინარე მოვლენებს. როგორ ვითარდებოდა ჟურნალისტიკაში ანალიტიკური აზრი თანამედროვე კრიტიკული ხელოვნების განვითარებასთან ერთად.
6. სასურველია, სილაბუსებში სფეროს აქტუალურ მიღწევების, უახლესი კვლევებისა და ტენდენციების შესახებ ინგლისურენოვანი ლიტერატურის შეთავაზება, რაც უზრუნველყოფს სასწავლო კურსისა და ზოგადად პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.
7. რეკომენდებულია, რიგ სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების სისტემის, კომპონენტების მეთოდების დეტალიზაცია სწავლის შედგების გაზომვადობის უზრუნველსაყოფად.
8. სტუდენტების და კურსდამთავრებულების კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ვინაიდან დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი რესურსი, სასურველია საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, პერიოდულად მოეწყოს შეხვედრები პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, როგორც პოტენციურ დამსაქმებლებთან, შეხვედრის ფარგლებში შესაძლებელია სტუდენტებთან, ასევე კურსდამთავრებულებთან დასაქმების ბაზრის საჭიროებების, განხილვა შესაბამისი საქმიანობის სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით;
9. სასურველია უნივერსიტეტმა დასახოს სტრატეგია რათა გაზარდოს საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებში სტუდენტების მობილობა და/ან გაცვლითი სემესტრის ფარგლებში სწავლება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ სასურველია გააღრმავოს თანამშრომლობა საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ასევე ფინანსური საკითხების მოგვარების მიზნით გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, მოიძიოს და მიაწოდოს სტუდენტს ყველა საჭირო ინფორმაცია, არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო სასტიპენდიო ფონდების შესახებ; გაუწიოს მხარდაჭერა საერთაშორისო სასტიპენდიო ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების მოპოვებაში; უკვე არსებული - "ერაზმუს +"-ის პროგრამის ფარგლებში, უზრუნველჰყოს სტუდენტების სათანადო კადრებად მომზადება, რათა მათ შეუფერხებლად შეეძლოთ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა და პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის გათვალისწინებული მიზნების მიღწევა წარმატებით განხორციელდეს.
10. სასურველია, უნივერსიტეტის მიერ განისაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ინსტრუქციის შესაბამისად წესი, რომლის მიხედვით დადგინდება - პროფესორს, რომელიც სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომის დამუშავებაში ხელმძღვანელობს, ერთდროულად რამდენი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა შეეძლება

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „არტჟურნალისტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ

ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „არტჟურნალისტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით

20:54- 21:15 საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

მეექვსე საკითხი: სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "კულტურა მედიაში" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კულტურა მედიაში
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	02.08.2012 გადწყვეტილება #289
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	მედიის კვლევა (კულტურა მედიაში)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი PhD in Mass Comunikation
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა Journalism and Reporting
12	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60 კრედიტი
15	განხორციელების ადგილი	თბილისი, რუსთაველის #19, 0108, საქართველო თბილისი, აღმაშენებლის #40, 0102, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. (1.1) ბაზრის კვლევის თანახმად სადოქტორო პროგრამას გააჩნია უფრო მეტი სტუდენტის მიზიდვის პოტენციალი, საჭიროა რეკრუტირების მიმართულებით სწორი სტრატეგიის დაგეგმვა და ამ კუთხით ინოვაციური მიდგომების გამოყენება.
2. (2.1) პროგრამაზე დაშვების წინაპირობად დასახელდეს ერთი კონკრეტული უცხო ენა და სილაბუსებში ამავე ენაზე დასახელდეს სავალდებულო ლიტერატურა.
3. (2.2) გასწორდეს ხარვეზი სადოქტორო პროგრამის დოკუმენტში, კვლევითი კომპონენტის არცერთ სავალდებულო ელემენტს არ ენიჭება კრედიტები და არ ფასდება ქულებით, შესაბამისად, დოქტორანტს, მათი შესრულების შემდეგ, კრედიტი არ მიენიჭება. ფასდება მხოლოდ დოქტორანტის დისერტაცია ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი შეფასებით.
4. (2.6) რეკომენდებულია, სასწავლო კურსით გათვალისწინებული სილაბუსებში უზრუნველჰყოფილი იქნეს თითოეული სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასება, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით, სასწავლო კურსის სილაბუსებში, ინფორმაცია შეფასების სისტემის, ფორმების, კომპონენტებისა და მეთოდების შესახებ უნდა იყოს მეტად დაზუსტებული, კონკრეტული ლექცია/სემინარის დღეს - გამოქვეყნებული და წინასწარ ცნობილი სტუდენტებისთვის. სასწავლო კურსის სილაბუსებით, სტუდენტის ცოდნის შეფასებისას აუცილებელია გამოიყენეოდეს შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის წინასწარ ინფორმირებულობას შეფასების მექანიზმებისა და კრიტერიუმების შესახებ; 2.6 სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო კომპონენტის - სადისერტაციო ნაშრომის შეფასება უნდა განხორციელდეს ერთჯერადად, რეკომენდებულია დაწესებულების შიდასამართლებროვი აქტები - სადოქტორო პროგრამის მარეგულირებელი დოკუმენტები მოვიდეს შესაბამისობაში კანონმდებლობით დადგენილ წესთან და დაექვემდებაროს რედაქტირებას რეცენზირებისთვის ნაშრომის (დისერტაციის, ავტორეფერატის, შემოქმედებითი პროდუქტის) წარმოდგენისა და შეფასებების წესი, სადისერტაციო საბჭოს დებულება (თავი VII; სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა, დაცვა და ხარისხის მინიჭება - მუხლი 24. სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი შეფასება) და აისახოს სადოქტორო პროგრამის შიდასამართლებრივ/მარეგულირებელ დოკუმენტებში.
5. (3.2) რეკომენდებულია უსდ-მ გაზარდოს სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელთა რაოდენობა, ყურადღება მიექცეს დოქტორანტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობას.

6. (4.3) ბიბლიოთეკა შეივსოს სილაბუსში წარმოდგენილი ლიტერატურით და გადაიჭრას ლიტერატურის ხელმისაწვდომობის პრობლემა, დასრულდეს ლიტერატურის გაციფრულების პროცესი.
7. (5.1) PDCA" ციკლის შესაბამისად, რეკომენდირებულია გაიზარდოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობა პროგრამის ფარგლებში, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროგრამისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შინაარსობრივი მხარის შესაბამისობაში მოყვანა დადგენილ მოთხოვნებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი ჩართოლანმა, ისაუბრა ბაზრის კვლევის შედეგად პროგრამის საჭიროების საკითხთან დაკავშირებით არსებულ რეკომენდაციაზე და აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა მას. მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამაზე სწავლობდა არა ერთი მაღალი დონის დოქტორანტი და განხორციელდა სამი დისერტაციის დაცვა, რომლების გამოქვეყნებული იყო, როგორც სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები. პროგრამის ორი კურსდამთავრებული კი უკვე იყო დაწესებულების პროფესორი. აღნიშნულ პროფესორთა დისერტაციების საფუძველზე შექმნილი სასწავლო რესურსით უკვე მომარაგებული იყო უნივერსიტეტი და დაწესებულების წარმომადგენელთა მიზანიც სწორედ ეს იყო, რომ სადისერტაციო ნაშრომის თემებად შეერჩიათ და დაეცვათ ისეთ თემები, რომლების გამოადგებოდათ, არა მარტო კვლევით საქმიანობაში, არამედ - სასწავლო-საგანმანათლებლო რესურსადაც. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დიდი ყურადღებითა და სიზუსტით არჩევდნენ თითეულ სადისერტაციო თემასა და დოქტორანტებს, რომლებიც მათ პროგრამაზე უნდა ყოფილიყვნენ. ძალიან დიდი მოთხოვნის მიუხედავად, დაწესებულების წარმომადგენლებმა უარი უთხრეს აპლიკანტებს, იმ მიზეზიდან გამომდინარე, რომ მათ მიერ წარმოდგენილი თემები არ შეესაბამებოდა პროგრამის კონკრეტულ მიზანს, კულტურისა და მედიის საკითხს. ამავდროულად, დაწესებულების დოქტორანტურის პროგრამაზე სწავლობდნენ ძალიან მაღალი დონის, ავტორიტეტული და მათი საქმის პროფესიონალი პირები, მათ შორის, საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორი. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, იგი ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას და ისინი ეცდებოდნენ, ბაზარზე არსებული მოთხოვნიდან გამომდინარე, შეეცდებოდნენ გაეზარდათ და აემაღლებინათ სტუდენტთა მოზიდვის პოტენციალი, თუმცა, სელექცია კვლავ საკმაოდ ზუსტი იქნებოდა, რათა ყველა სადისერტაციო ნაშრომი გამოსადეგი ყოფილიყო უმოკლეს პერიოდსა და მომავალ პერსპექტივაშიც. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მკაცრად იყო გაწერილი შეფასების კრედიტების მინიჭების ნაწილი. პროგრამაში, სასწავლო კომპონენტი არის წარმოდგენილი 60 კომპონენტით. სხვა რეკომენდაციებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათი პოზიცია იყო იგივე, როგორც ეს დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-4 და მე-5 საკითხების შემთხვევაში იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ანა სამსონიძემ აღნიშნა, რომ ხარისხის მიმართულებით რეკომენდაციები იყო გამოწვეული ტექნიკური ხარვეზებით, რადგან ელექტორნული ბაზით დასტურდებოდა ის ფაქტი, რომ ინსტიტუცია სასწავლო კომპონენტის შეფასებას ახდენდა სადისერტაციო ნაშრომთან მიმართებაში, ხოლო ყველაფერი რაც შეეხება სამეცნიერო ნაშრომებს, არ ენიჭებოდა კრედიტები და ერთჯერად ფასდებოდა დაცვის დროს. რეცეზენტის ქულობრივ შეფასებასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ქულობრივი შეფასება არ ხდებოდა რეცენზენტის მხრიდან და რეცენზენტის დასკვნა იყო მხოლოდ ტექსტუალური. ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით დაწესებულებეის წარმომადგენლის თქმით, პროცესი დაწყებულია და სერიოზული ნაბიჯები უკვე არის გადადგმული ამ მიმართულებით. სპეციალური დისციპლინების სილაბუსებში მითითებული

ლიტერატურის გარკვეული ნაწილი უკვე არსებობს ციფრულ ფორმატში, განთავსებულია უნივერისტეტის ვებ გვერდზეც და მომავალში ეს პროცესი კიდევ უფრო სწრაფად და ეფექტურად წარიმართება.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, თათია უბერმა, მე-6 რეკომენდაციასთან დაკავშრებით განაცხადა, რომ ინსტიტუციამ წარმოდგინა შეფაბამისი დოკუმენტი, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა პროტოკოლისათვის იხელმძღვანელა იმ დოკუმენტებით, რომელიც პირველადი სახით იყო წარმოდგენილი ვიზიტის ფარგლებში.
საბჭოს თავმჯდომარემ, განმარტა, რომ საბჭო უფლებამოსილი იყო, ემსჯელა, მხოლოდ ექსპერტების ვიზიტის პროცესში მიღებული ფაქტობრივი გარემოებების და წარმოდგენილი ზეპირი მოსმენის საფუძველზე. თუმცა ყველა ის მოხსენება, რომელიც ინსტიტუციამ გაატარა პროგრამის განივთარებისათვის ექსპერტების დასკვნის წარმოდგენის შემდგომ მას მხედველობაში ვერ მიიღებდა საბჭო.
დაწესებულების წარმომდგენელმა, ნატო გენგიურმა განმარტა, რომ მე-6 რეკომენდაციასთან დაკავშირებით ინსტიტუციის არგუმენტი არ იყო ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდგომ გატარებული ღონისძებები. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სადისერტაციო ნაშრომის დაცვამდე ქულობრივი შეფასება არ ფიქსირდებოდა, არც გამოგზავნილ დოკუმენტებში ფიქსირდებოდა და ეს მცდარი შეხედულება შესაძლოა ყოფილიყო დოკუემტის არასწორი წაკითხვის შედეგი. მისი თქმით, ექსპერტებისათვის, გაგზავნილი იყო პროგრამის ძველი ვარიანტი, სადაც მითითებული იყო სამეცნიერო ნაწილშ კრედიტები, რაც ექსპერტტა ჯგუფთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რაც დასაბუთების შემდგომ ჩაითვალა არა ხარვეზად, არამედ ტექნიკურ უზუსტობად.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, თათია უბერმა, საბჭოს სხდომაზე გააზიარა დოკუმენტი (დისერტაციის, წინასწარი შეფასების უწყისი (რეცენზენტის შეფასება)) რომლის საფუძველზეც იხელმძღანელმა ექსპერტთა ჯგუფმა, მე-6 რეკომენდაციის შემუშავებისას, სადაც მოცემული იყო ქულობრივი შეფასების ცხრილი. ექსპერტის თქმით, აღნიშნული დოკუმენტით ისარგებლა ექსპერტთა ჯგუფმა შეფასების პროცესში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრი, ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა, დოქტურანტები, რომლებიც მოდიან წინასწარ გარკვეული მონახაზით ან რეფერატით, ხომ არ ქმნიდა რაიმე იმ ტიპის პრობლემას, რომ აღნიშნული ვიწრო მიმართულების სპეციალისტი, იმ დარგში არ ასრულებდეს კვლევებს და გაუჭრდეს ხელმძღვანელის მოძიება. ასეთ შემთხვევაში, რა მექანიზმი არსებობს.
საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაღანიძემ აღნიშნა, რომ შესწავლი ქონდა ბენჩმარკინგი, იცნობდა, როგორც უცხოურ, ასევე ქართულ ბაზარს. მისი, თქმით ის რომ პორგრამა იყო უკონკურენტო, სასურველი იყო განემარტა ინსტიტუციას, რადგან მედიისა და კულტურის თემატიკაზე, სხვა სადოქტორო არ არის. საბჭოს წვერი დაინტერესდა, რა წინარე რეკვიზიტის ცოდნით ხდებოდა დოქტორანტების მიღება და სავალდებულო იყო თუ არა მათ ჰქონოდათ გამოცდილება ერთ-ერთ სფეროში.
საბჭოს თავმჯდომარემ, 4.1 ქვესტანდართან დაკავშირებულ რჩევასთან დაკავშირებით, კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, თუ რა ტიპის ჟურნალებში ჰქონდა ტოქტორანტს ვალდებულება გამოაქვეყნოს პუბლიკაციები.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშილმა აღნიშნა, რომ სასწავლო კომპონენტი შედგებოდა ბევრი პუნქტისგან, რაც მისი შეფასებით იყო უჩვეულო სადოქტორო პროგრამისთვის. საბჭოს წევრი დაინტერესდა, რატომ იყო განაწილებული 2 კრედიტიანი საგნები დიდი რაოდენობით, ასევე ერთჯერადად არ ფასდებოდა დისერტაცია. საბჭოს წევრმა, ასევე აღნიშნა სწავლის შედეგების გაზომვადობის პრინციპით ჩამოყალიბება საკმაოდ კარგად იყო გაშლილი, თუმცა ფორმულირება იყო ისეთი, რომ გაზომვადობის უზრუნველყოფა შესაძლოა იყოს პრობლემური დაკვირვების პროცესში. საბჭოს წევრის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის რჩევებში აქცენტი გაკეთებული იყო აკადემიური პერსონალის საერთაშორისო სამეცნიერო სივრცესში ინტეგრაციასთან დაკავშირებით. ვინაიდან სადოქტორო პროგრამა დგას სამეცნიერო

ხელმძრავნელების სამეცნიერო პოტენციალზე, მისი თქმით საინტერესო იქნებოდა ამასთან დაკავშირებით ექპერტთა პოზიცია.
ექსპერთტა თავმჯდომარემ, კითხვებს უპასუხა და განმარტა, რომ პროგრამის ხელმძღავნელები და აკადმიური პერსონალი, რომელიც პროგრამაში მონაწილეობდა კიდევ უფრო მეტად უნდა ყოფილიყო ჩართული საერთაშორისო პროექტებში. ლიტერატურის ბაზებთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ ექსპერტები ადგილზე გაეცნენ მდგომარეოაბს და ნახეს, რომ იქ იყო გარკვეული პრობლემები, იმ თვალსაზრისით, რომ იმ პერიოდში მიმდინარეობდა ბაზების განახლება, ლიტერატურის ატვირთვა და შევსება აუცილებელი ლიტერატურით, რომლიც საჭირო იყო სადოქტორო პროგრამისთის.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა დააზუსტა შეკითხვა და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი იყო კვლევითი კომპონენტის შეფასების ნაწილი. საბჭოს წევრი დაინტერესდა, რეალურად პრაქტიკაში იყო დარღვევა და ექსპერტებმა ნახეს შეფასების უწყისები თუ ეს იყო ტექნიკური ხარვეზი და დოკუმენტურად არ იყო წარმოდგენილი, ის რაც რეალურად იყო პრაქტიკაში. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ უნდა იყოს გასაგები, თუ როგორ ხდება კვლევითი კომპონენტის შეფასება.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, განმარტა, რომ სამეცნიერო კომპონენტის შეფასება ხდება ერთჯერადად, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დროს და იქვე მოცემულია კვლევის გეგმა წლების მიხედვით, თუმცა "რეცენზირებისთვის ნაშრომის (დისერტაციის, ავტორეფერატის, შემოქმედებითი პროდუქტის) წარმოდგენისა და შეფასებების წესი"-ს მესამე ნაწილის 8 თანახმად, სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი შეფასება ხდება რეცენზენტის მიერ. ამავე ნაწილის მე-6 პუნქტის მიხედვით, რეცენზენტის ქულობრივი შეფასება აისახება დისერტაციის შეფასების უწყისში, წინამდებარე წესში მოცემული კრიტერიუმების თანახმად და ფიქსირდება დისერტაციის დაცვის ოქმში. ამავე წესის მეხუთე ნახილის მიხედვით სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება სადისერტაციო კომისიის მიერ ხორციელდება. დოკუმენტს თან ერთვის, როგორც დისერტაციის წინასწარი შეფასების, ასევე საბოლოო შეფასების უწყისები, სადაც წარმოდგენილია კომპეტენციების მიხედვით ქულების გადანაწილების ცხრილი; შესაბამისად, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ განმარტება, ზემოთხსენებული დასაბუთების საფუძველზე, არაზუსტია და არ შეესაბამება სიმართლეს. რეკომენდებულია დაწესებულების შიდასამართლებროვი აქტები - სადოქორო პროგრამის მარეგულირებელი დოკუმენტები ერთმანეთთან მოვიდეს შესაბამისობაში, დაექვემდებაროს რედაქტირებას "რეცენზირებისთვის ნაშრომის (დისერტაციის, ავტორეფერატის, შემოქმედებითი პროდუქტის) წარმოდგენისა და შეფასებების წესი", "სადისერტაციო საბჭოს დებულება (თავი VII; სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა, დაცვა და ხარისხის მინიჭება - მუხლი 24. სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი შეფასება)" და წინამდებარე ცვლილებები აისახოს შიდასამართლებრივ/მარეგულირებელ დოკუმენტებში. სასწავლო კომპონენტების უხვად მოცემულობის შესახებ, ექსპერტმა განმარტა, რომ ვინაიდან პროგრამა იყო სინთეზური ხასიათის მისი მოსაზრებით საჭირო იყო ასეთი საგნების არსებობა. პროგრამა აღნიშნული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რადგან სტუდენტებმა იცოდენენ ის საკითხები, რაც წარმოდგენილია არჩევით კურსებში.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ლაურა კუტუბიძემ განმარტა, რომ მედია იყო ღია სპეციალობა და ეს არ იყო მხატვრული სიტყვა, არამედ იყო ზუსტი დეფინიცია, რაც განასხვავებს აღნიშნულ სპეციალობას სხვებისგან. მისი თქმით ეს არის ღია სპეციალობა და იღებს სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია თუ როგორ უნდა დაძლიოს მან სადოქტორო პროგრამა თუ არ იციცი კომუნიკაციის თეორია, თუმცა განსახილველი პროგრამა აძლევს მას საშუალებას ჩააბაროს. საგნების სიუხვეც სწორედ პროგრამის სფეციფიკიდან გამომდინარეობს. ასევე მნიშნელოვანია, თუ როგორ ხდება დოქტორანტების მიღება და უარის თქმა განაპირობა თუ არა შესაბამისი ხელმძღვანელების არ ყოფნამ. დაწესებულების წარმიმადგენლის განმარტებით, პროგრამას ჰქონდა სპეციფიკა და ეს იყო კულტურის კვლევა მედიაში. თუ არ გაწვდება აკადემიური პერსონალი მოთხოვნას,

უნივერსიტეტში არის შესაბამისი სპეციალისტების მოწვევის პრაქტიკა, თუნდაც თანახელმძღვანელის რანგში. კულტურის კვლევა მედიაში არ გულისხმობს იმას, რომ ეს არის ორიენტირებული კულტუროლოგიის სპეციალობებისთვის. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მას შემდეგ, რაც შეფასების წესში შევიდა ცვლილებები, აღნიშნული მიმართულებით სადისერტაციო ნაშრომი არ დაცულა და კომისიამ შესაძლოა უწყისები ნახა ძველი დაცული ნაშრომების, რომელიც აღნიშნული წესის შეცვლამდე იყო მიღებული. საადისერატციო საბჭოს და სადოქტორო დებულება არის გაერთიანებული. სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ძირითადი ცვლილება იყო ის რომ ქულობრივი შეფასება უნდა ამოღებულიყო განხორციელდა. მისი თქმით შეუძლებელი იყო დაცულ დისერტაციებში ყოფილიყო შეფასების უწყისი.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, სოფიო კილასონიამ განმარტა, რომ ექსპერტებს ჰქონდათ საინტერესო შეხვედრა დოქტორანტებთან და კურსდამთავრებულებთან, პრაქტიკაში შეფასების პროცესი იყო უფრო ზუსტი ვიდრე ეს დოკუმენტურად დასტურდებოდა. მისი თქმით იყო მრავალჟანრობრივი კვლევები, რომლებიც ადასტურებდა კურსების, დატვირთული პროგრამის საჭიროებას. მიზნებისა და შედეგების გაზომვადობასთან დაკავშირებით ექსპერტმა განამარტა, რომ პროგრამის შედეგების შეფასება დოკუმენტაციის მიხედვით იყო რთული, თუმცა ინტერვიუები უფრო საფუძვლიან შთაბეჭდილებას ქმნიდა პროგრამის შედგეებთან მიმართებაში. ექსპერტის თქმით, მათ არ დაუნახავთ ცდომილება პროგრამის გაწერილ შედგებთან მიმართებაში. მიზნებისა და შედგეებთან მიმართებაში, ექსპერტის შეფასებით ხარვეზი არ იყო, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა სადოქტორო საფეხური იყო და საკამაოდ ფართო დიაპაზონს ითრევდა მედიის თავისებურებიდან გამომდინარეობდა და არა იმიტომ, რომ პროგრამა რთულად იყო დანახული, არემედ გამომდინარებდა პროგრამის ღიაობიდან.

ექსპერთთა თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ იმისათვის, რომ დოქტორანტმა დაიცვას საკვალიფიკაციო ნაშრომი სასურველია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გააუმჯობესოს საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობები, მათ შორის საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნების მაჩვენებელი. მისი თქმით, რთული განსაზღვრებელია მიუთითო დოქტორანტს თუ სად უნდა გამოაქვეყნოს სტატია.

დაწესებულების წარმომადგეენლმა, გიორგი ჩართოლანმა განმარტა, რომ პროგრამა იყო ვიწრო, სფეციფიური და დარგობრივი. მულტი დისციპლინური, მოიცავს კულტურას და მედიას. როდესაც პროგრამაზე მოდის აპლიკანტი, მისთვის წინაპირობაა, რომ მან უნდა წარმოადგინოს საკვლევი თემატიკა, თუ რატომ აპირებს შეისწავლოს ესა თუ ის საკითხი, როგორ აპირებს ამის გაკეთებას და რა წყაროების გამოყენებით. როდესაც თემა შესაბამისობაშია კულტურისა და მედიის ურთიერთ მიმართების საკითხთან, ინსტიტუცია ინტერესდება აღნიშნულით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა პლაგიატის რეგულირებასთან დაკავშირებით როგორი იყო ექპერეტების მოსაზრება და იყო თუ არა პლაგიატის ზღვარი.

ექსპერთტა თავმჯდომარემ, განმარტა, რომ სადისერტაციო ნაშრომები დაცული იყო მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო მოქმედებაში მოსული პლაგიატის პროგრამა. თუმცა, შესაძლოა პლაგიატის პროგრამამ ამოაგდოს მაღალი პროცენტი, თუმცა ეს იყოს ციტირება, ან ისეთი სახის მასალა, რომელიც შეიძლება არ ჩაითვალოს პლაგიატად, ამიტომ მნიშნელოვანი იყო რეცენზენტის აზრი, რადგან შეუძლებელი იყო მხოლოდ პროგრამით პლაგიატის განსაზღვრა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, განამრტა, რომ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე იდო შემუშავებული დოკუმენტი, სადაც იყო დარეგულირებული მთელი პროცედურა. ინსტიტუციას ჰყავს სპეციალურად შერჩეული პასუხისმგებელი პირი, რომელიც განიხილავს და აკეთებს ანალიზს. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით არ იყო დადგენილი მაქსიმალური პროცენტი, თუმცა რეგულაციაში მაქსიმალურად იყო გაწერილი რას ნიშნავდა პლაგიატი და რა არ იყო პლაგიატი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 22:37
დასრულების დრო: 00:09

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. კერძოდ 1.1 და 3.2 კომპონენტები, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია სტანდარტების შეფასების ცვლილება; 1.2, 4.4 და 5.3 კომპონენტები ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ გამოიწვია მხოლოდ მე-4 და მე-5 სტანდარტების შეფასების ცვლილება და შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“; ასევე 2.2 კონპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ შეაფასა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნულმა ცვლილებამ არ გამოიწვია მე-2 სრანდარტის ცვლილება;

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები, რომელიც ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია პროგრამის შედეგების გადახედვა და რეფორმულირება მათი გაზომვადობის უზრუნველსაყოფად.
2. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად დასახელდეს ერთი კონკრეტული უცხო ენა და სილაბუსებში ამავე ენაზე დასახელდეს სავალდებულო ლიტერატურა.
3. რეკომენდებულია პროგრამაში კვლევითი კომპონენტი შესაბამისობაში მოვიდეს სადისერტაციო საბჭოს დებულებასთან და შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტებთან.
4. რეკომენდებულია, სასწავლო კურსით გათვალისწინებული სილაბუსებში უზრუნველყოფილი იქნეს თითოეული სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასება, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით, სასწავლო კურსის სილაბუსებში, ინფორმაცია შეფასების სისტემის, ფორმების, კომპონენტებისა და მეთოდების შესახებ უნდა იყოს მეტად დაზუსტებული, კონკრეტული ლექცია/სემინარის დღეს - გამოქვეყნებული და წინასწარ ცნობილი სტუდენტებისთვის. სასწავლო კურსის სილაბუსებით, სტუდენტის ცოდნის შეფასებისას აუცილებელია გამოიყენეოდეს შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის წინასწარ ინფორმირებულობას შეფასების მექანიზმებისა და კრიტერიუმების შესახებ;
5. რეკომენდებულია სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო კომპონენტის - სადისერტაციო ნაშრომის შეფასება უნდა განხორციელდეს ერთჯერადად, რეკომენდებულია დაწესებულების შიდასამართლებროვი აქტები - სადოქტორო პროგრამის მარეგულირებელი დოკუმენტები მოვიდეს შესაბამისობაში კანონმდებლობით დადგენილ წესთან და დაექვემდებაროს რედაქტირებას რეცენზირებისთვის ნაშრომის (დისერტაციის, ავტორეფერატის, შემოქმედებითი პროდუქტის) წარმოდგენისა და შეფასებების წესი, სადისერტაციო საბჭოს დებულება (თავი VII; სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა, დაცვა და ხარისხის მინიჭება - მუხლი 24. სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი შეფასება) და აისახოს სადოქტორო პროგრამის შიდასამართლებრივ/მარეგულირებელ დოკუმენტებში.

6. რეკომენდებულია ბიბლიოთეკა შეივსოს სილაბუსში წარმოდგენილი ლიტერატურით და გადაიჭრას ლიტერატურის ხელმისაწვდომობის პრობლემა, დასრულდეს ლიტერატურის გაციფრულების პროცესი.
7. რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა.
8. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის და პროგრამასთან დაკავშირებულ დოკუმენტებში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად.
9. რეკომენდირებულია, პროგრამის პერიოდული მონიტორინგის მექანიზმების ამუშავება.

რჩევები:

1. ბაზრის კვლევის თანახმად სადოქტორო პროგრამას გააჩნია უფრო მეტი სტუდენტის მიზიდვის პოტენციალი, საჭიროა რეკრუტირების მიმართულებით სწორი სტრატეგიის დაგეგმვა და ამ კუთხით ინოვაციური მიდგომების გამოყენება.
2. სასურველია სადოქტორო ნაშრომებში პლაგიატის პრევენციის მექანიზმების შემდგომი სრულყოფა.
3. სასურველია უნივერსიტეტმა დასახოს სტრატეგია რათა გაზარდოს საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებში დოქტორანტების მობილობა/კვლევითი გაცვლითი სემესტრის ფარგლებში სწავლება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ სასურველია გააღრმავოს თანამშრომლობა საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ასევე ფინანსური საკითხების მოგვარების მიზნით გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, მოიძიოს და მიაწოდოს სტუდენტს ყველა საჭირო ინფორმაცია, არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო კვლევითი ფონდების შესახებ; გაუწიოს მხარდაჭერა საერთაშორისო კვლევითი ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების მოპოვებაში რათა მათ შეუფერხებლად შეეძლოთ გაცვლით კვლევით აქტივობებში მონაწილეობა და პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის გათვალისწინებული მიზნების მიღწევა წარმატებით განხორციელდეს;
4. სრულფასოვანი კვლევის ჩასატარებლად სასურველია არსებულ საბიბლიოთეკო ბაზებს დაემატოს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სალიტერატურო ბაზები და გახდეს უფრო მრავალფეროვანი, რათა კვლევით პროცესში, გამოსაყენებელი ლიტერატურის ფარგლებში, უფრო მეტი არჩევანის შესაძლებლობა იყოს უზრუნველყოფილი. სადოქტორო პროგრამის მიზნების შესაბამისად, სასურველია, დაწესებულების მიერ განისაზღვროს სტრატეგია, დამატებით სამეცნიერო/სალიტერატურო ბაზების წვდომის უზრუნველყოფის შესახებ.
5. სასურველია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გააუმჯობესოს საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობები, მათ შორის საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნების მაჩვენებელი.
6. სასურველია, დოქტორანტთა და პროგრამის აკადემიური პერსონალის ინტეგრაცია საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში, საერთაშორისო ფორუმებსა და კონფერენციებში მეტად ჩართვა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "კულტურა მედიაში" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელსა და 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენისა და ანგარიშის წარმოდგენისა და მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე და 33-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "კულტურა მედიაში" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელსა და 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენისა და ანგარიშის წარმოდგენისა და მონიტორინგის განხორციელების პირობით.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 23:13 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ